ჩვენ უნდა. ჩვენი ვშვათ მყოობადი!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 252 (20998) — სამშაბათი, 30 ოქტომბერი, 1990 წელი. — ფასი 3 კაპ.

ამ ჩვეულებრივ კვირა დღეს...

ოცდარვა ოქტომბერს საქართველოს ისტორიაში პირველად ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები

არ ყოფილა არც ზარ-ზეიმი, არც ყვავილები, მაგრამ არც სევდის მომგვრელი გულგრილობა შეიმჩნეოდა. აი, ასეთი, თითქოსდა წინააღმდეგობრივი ნიშან-თვისებებით გამოირჩეოდა გასული კვირა დღე, რომელიც უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა, როორც უკანასკნელი სამოცდაათი წლის განმავლობაში საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი მრავალპარტიული არჩევნების დღე.

ეჭვარეშე, ამ დღეს სრულიად გონზვიადებლად შეიძლება ვუწოდოთ ნამდვილად ღირშესანიშნავი საქართველოს ცხოვრებაში, იგი, უეჭველი, გახდება ახალ თვისებრივ მდგომარეობაში ჩვენი შესვლის თავისებური ათვლის წერტილი, რაც პირველ ყოვლისა გულისხმობს ილია ჭავჭავაძის ცნობილი ფრაზის — „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ — აზრის ხორცშესხმას როგორც პირადი, ისე საერთო-ეროვნული თვალსაზრისით. ეს ფრაზა არ არის უბრალო სიტყვები, სრულიადაც არა. ეს წელზე მეტი ხნის წინათ ჩვენი დიდი წინაპრის მიერ ნათქვამი ეს ფრაზა ჩვენ, მის შთამომავლებს, ფასდაუდებელ მემკვიდრეობად, იმისათვის მგზნებარე მოწოდებად დაგვრჩა, რომ ვიყოთ დაუცხრომელნი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ ძნელ გზაზე, რამეთუ მხოლოდ ისინი შეადგენენ ადამიანის, ხალხის ღირსებასა და პატიოსნებას.

და აი, კვირას დილით რომ გავიღვიძეთ, უკვე აშკარად ვიგრძენით სიხარული იმ საყოველთაო შიშის დაძარღვნის გამო, რომელის მეშვეობით, ჩვეულებრივ, ნებისმიერ დიქტატურას მორჩილებაში ჰყავს ხალხი და ამით მეთოდურად, დღენიადგ და განუხრელად აქცევს მას უსახო მასად. დიახ, ამ ჩვეულებრივ დღეს ჯერ კიდევ არჩევნების დაწყებამდე მტკიცე ნაბიჯი გადავდგით ჩვენი ადამიანური ღირსების აღდგენის გზაზე. მაგრამ რა ფასად?! რა წარმოუდგენელი ძალისხმევის, აუნაზღაურებელი დანაკარგების, პოლიტიკურ, საყოფაცხოვრებო და სოციალურ წყვდიადში ხეტიალის ფასად შევძელით, ბოლოს და ბოლოს, მკაფიოდ დაგვენახა ჩვენს ცის კამარაზე მიზანი, რომლის გულისთვისაც ღირს სიცოცხლე.

... ზუსტად დილის შვიდ საათზე გაიღეს კარი ქალაქ თბილისის დიდუბის რაიონის № 6 დაღმის საარჩევნო ოლქის საარჩევნო უბნებმა, ხოლო უკვე რამდენიმე წუთის შემდეგ თითოეული მამაგანისაკენ გაემართნენ პირველი ამომრჩეველები. რთული არჩევნები ელოდათ: თუ, ვთქვათ, პოლიტიკური პარტიების და ბლოკების მიმართ, რომლებიც, როგორც მოგეხსენებათ, თერმეტი იყო, ეს არჩევნები, უნდა ვიგულისხოთ, ბევრისთვის წინასწარ განსაზღვრული იყო, მაგრამ იმაზე, კონკრეტულად ვისთვის მიეცათ უპირატესობა დეპუტატების კანდიდატთაგან, ვინც პერსონალურად იყრიდა აქ კენჭს, ჯერ კიდევ უნდა დაფიქრებულიყვნენ. ეს არც არის გასაკვირი — ამ ოლქში ხომ წარმოდგენილი იყო დეპუტატის მანდატის თერმეტი პრეტენდენტი. ორი მათგანი დამოუკიდებელია, რომლებიც დაასახელა არა რომელიმე პარტიამ ან ბლოკმა, არამედ დასახელებული არიან მოქალაქეთა ინიციატივით, რომელთა რიცხვი 500-ზე ნაკლებს არ შეადგენდა. ამიტომ ამჯერად მრავალი საარჩევნო უბნის გამტარუნარიანობა მკვეთრად შემცირდა წარსულ, ეგრეთ წოდებულ არჩევნებთან შედარებით, როცა არსებითად ასარჩევიც კი არავინ იყო, რადგან ბიულეტენებში, როგორც წესი, აღნიშნული იყო ერთადერთი კანდიდატის გვარი, რომლის მანდატი გარანტირებული იყო არა იმდენად ხალხის ნებასურვილით, რამდენადაც ზემოდან ბრძანებით.

ამიტომ არ გაგვკვირვებია გრძელი რიგი, რომელიც ადგა დიღმის მასივში განლაგებული ამ ოლქის №13 საარჩევნო უბანთან.

— ამომრჩეველთა სია ჩვენთან დიდი არ არის, — თქვა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, 130-ე საშუალო სკოლის დირექტორმა იუზა ჩეჩელაშვილმა, — სულ 2,537 კაცი. მიუხედავად ამისა, როგორც ხედავთ, შენობაში სივიწროეა, თუმცა დადგმულია სამი კაბინა. ამომრჩეველნი დიდხანს ჩერდებიან ამ კაბინებში. ხშირად ერთი ოჯახის წევრებიც კი ცალ-ცალკე ანალიზებენ საარჩევნო ბიულეტენებს. ესეც, ალბათ, მრავალპარტიული არჩევნების ერთ-ერთი ნიშანია.

კიდევ ერთი თავისებურება: კენჭისყრის მიმდინარეობას დასაწყისიდან დამთავრებამდე აქ უურადღებით ადევნებდნენ თვალყურს არა მარტო სხვადასხვა ბლოკის წარმომადგენლები, არამედ დეპუტატობის კანდიდატთა ნდობით აღჭურვილი პირნიც.

დიდად არ განსხვავდებოდა ვითარება საქართველოს დედაქალაქის დაბარჩენ 357-ვე საარჩევნო უბანში. ყველგან შეიმჩნეოდა წინათ არნახული დაინტერესება იმით, რომ არჩევნები ჩატარებულიყო სათანადო დონეზე, საქმიანობისა და ახალი კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვის ატმოსფეროში. ნიშანდობლივია, რომ, მისი შედეგებით ახალგაზრდობის მიუხედავად, ამომრჩევლები კარგად გაერკვნენ კანონში, რასაც მოწმობდა მათ მიერ არცთუ იშვიათად გამოთქმული შენიშვნები და წინადადებანი კენჭისყრის პროცედურის, მისი სრულყოფის ირგვლივ.

ამ დღეს აფორიაქებული იყო ქალაქ სოხუმის ახალი მიკრორაიონის ოცდაათათასიანი მოსახლეობა: ამასაც მოვესწარით, როგორც პურის, სიგარეტებისათვის უზარმაზარი რიგი გაიმართა, იყო მითქმა-მოთქმა. ძლივს გაიკვალა გზა ჩვენმა კორესპონდენტმა სარედაქციო „ნივთით“ მსუბუქი ავტომანქანებით გადაჭედილ აგრბას ქუჩაზე და მივიდა სპეციალურ მაღაზიასთან, რომელზეც წარწერილი იყო „პური“ და აქ ყველაფერი გამოირკვა. რიგი თვალის დახამხამებაში ქრებოდა მაღაზიის გვერდით მდებარე საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქის ფართოდ გაღებულ კარში. საქმიანი განწყობილებით მოდიოდნენ აქ ამომრჩეველები — სხვადასხვა ეროვნების ადამიანები, მოხუცები თუ ახალგაზრდები.

ასე იყო ქალაქის თითქმის ყველა საარჩევნო უბანში. ყოველი ღონე იხმარეს საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებმა, რათა ყოველ ამომრჩეველს ჰქონოდა საშუალება, თავისი გულის კარნახით აერჩია, რომელი პარტიის ან ბლოკისთვის, საქართველოს ახალი პარლამენტის დეპუტატობის რომელი კანდიდატისთვის მიეცა ხმა. მრავალპარტიული არჩევნების პირობებში მეტად საჭირო იყო, რომ ყველგან ყოფილიყო მოწყობილი კარგად აღჭურვილი კაბინები ფარული კენჭისყრისათვის. აქვე იყო ამომრჩეველთა სიები, პლაკატები და ფურცლები პარტიებისა და ბლოკების საარჩევნო პლატფორმებით, იმ დეპუტატობის კანდიდატთა ბიოგრაფიებით და პროგრამებით, რომლებიც პერსონალურად იყრიდნენ კენჭს.

სამწუხაროდ, კენჭისყრა არ მოწყობილა ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილ ყველა საარჩევნო ოლქში. არჩევნები არ შედგა ტყვარჩელში, აგრეთვე გუდაუთის რაიონში, სადაც კენჭისყრა მიმდინარეობდა მხოლოდ ერთ საარჩევნო უბანში. ამომრჩეველთა პასიურობა შეინიშნებოდა აფხაზეთის მთელ რიგ სხვა დასახლებულ პუნქტებშიც.

დილით ადრე გაიღო ბათუმის №27 საშუალო სკოლის კარი, სადაც ბინა დიიდო ბათუმის №113 დავით აღმაშენებლის საარჩევნო ოლქის №14 საარჩევნო უბანმა. უბანში პირველები მოვიდნენ ძნელაძეების ოჯახის წევრები. მათ წარმოადგინეს პასპორტები და მიიღეს საარჩევნო ბიულეტენები. არჩევნები ფარული იყო. ამ ოლქში კენჭს იყრიდნენ ჯანდი მაქაცარია — დამოუკიდებელი კანდიდატი ამომრჩეველთა ჯგუფისაგან, თამაზ ბოლქვაძე — ბლოკისაგან „განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინება“, მიხეილ ხომერიკი — ბლოკისაგან „თავისუფლება“, გიორგი სიხარულიძე — საქართველოს სახალხო პარტიისაგან, ანზორ კუდაბა — ბლოკისაგან „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“, თეიმურაზ კომახიძე — საქართველოს კომპარტიისაგან, გივი ძნელაძე — საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან, თამაზ დისამიძე — საქართველოს რესპუბლიკური პარტიისაგან.

დილის ათი საათისთვის ხალხის ნაკადმა იმატა. საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარემ ა. ტუღუშმა, კომისიის წევრმა მ. ქუთათელაძემ და სხვებმა დაწერილებით განუმარტეს ამომრჩევლს კენჭისყრის პროცედურა.

ამ უბანში კენჭისყრაში მონაწილეობდა დაახლოებით ორი ათასი ამომრჩეველი, სულ კი 28 ოქტომბერს აჭარაში მოქმედებდა 8 საარჩევნო ოლქი, 279 საარჩევნო უბანი, სადაც გვიან ღამემდე ხალხმრავლობა იყო.

რთულ პირობებში მიმდინარეობდა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობა არჩევნებისათვის მზადება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე. მოწოდებებმა, რომ ბოიკოტი გამოეცხადებინათ ამ არჩევნებისათვის, სამწუხაროდ, გავლენა იქონია თვით კენჭისყრის მიმდინარეობაზე. დილით თითოოროლა ამომრჩეველი თუ მივიდა უბნებში. მაგალითად, ამ დღეს ცხინვალში და მის რაიონში საარჩევნო უბნებში უნდა მისულიყო ორმოცი ათასზე მეტი კაცი. ფაქტობრივად კი, წინასწარი მონაცემებით, ხმა მისცა სულ დაახლოებით შვიდი ათასმა. ასეთივე მდგომარეობა შეინიშნებოდა იშვიათი გამონაკლისის გარდა, ავტონომიური ოლქის სხვა საარჩევნო ოლქებშიც.

— ჩვენი, ცხინვალის, №121 საქალაქო საარჩევნო ოლქის 19 უბნიდან ფუნქციონირებს 18 უბანი, — თქვა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ი. ჯიოევმა. — არჩევნებში მონაწილეობის მიღების შესახებ გადაწყვეტილება სულ რამდენიმე დღის წინათ იქნა გამოტანილი. მაქსიმალურად ვეცადეთ, რომ უზრუნველგვეყო ამ მნიშვნელოვანი კამპანიის მოწყობა. გაიმართა საუბარი საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან. მართალია, ამ მოკლე დროში ვერ მოვასწარით ინდივიდუალურად შეგვეტყობინებინა თითოეული ამომრჩევლისათვის და მოგვეწვია კენჭისყრაში მონაწილეობის მისაღებად. და მაინც, რეგიონში არსებული ყველა არხის საშუალებით მოსახლეობას სამ ენაზე ეუწყა მომავალი არჩევნების, უბნების საზღვრებისა და ადგილმდებარეობის, არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და ბლოკების, დეპუტატობის კანდიდატების შესახებ ინფორმაცია.

საქართველოს ნათელი მომავლის იმედმა ქუთაისის მეცხოვრები 86 წლის ალექსანდრა ბიბილეიშვილი, მძიმე სნეულების მიუხედავად, ერთ-ერთი პირველი მოიყვანა არჩევნების დღეს №71 დავით აღმაშენებლის საარჩევნო ოლქის საარჩევნო უბანში.

— არ შემეძლო პირადად არ მოვსულიყავი, — თქვა მან. — დიდხანს, ძალზე დიდხანს ველოდი ასეთ არჩევნებს. ბედნიერი ვარ, რომ მაინც მოვესწარი ამ დღეს, ვიხილე ჩემი თანამემამულეები. გაესაკეთებინა ჩემი სახეები. ღმერთმა ნუ ქნას, მათი იმედი არ გამართლდეს.

ქალაქში განლაგებული ხუთიდან საარჩევნო ოლქის ყოველ უბანში იკრძნობოდა ამომრჩეველთა აქტიურობა. დილის 11 საათისათვის დეპუტატებს უკვე ხმა მისცა ამომრჩეველთა ნახევარზე მეტმა.

ჩვენს, დავით აღმაშენებლის საარჩევნო ოლქში კენჭისყრამ ნორმალურად ჩაიარა, მკაცრად იყო დაცული საარჩევნო კანონი, — თქვა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ თენგიზ კაკუშაძემ. რაც შეეხება ჩემს პირად აზრს, ვფიქრობ, რომ მომავალში ეს კანონი მაინც უნდა დაიხვეწოს.

... ცენტრალური საარჩევნო კომისია. გაუჭირდა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ახალგაზელი არჩევნების ამ შტაბის კოლექტივს. მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში აქ უჩვეულოდ დიდი მოცულობის მუშაობა გასწიეს პირველი მრავალპარტიული არჩევნების მომზადებისა და მოწყობისათვის. გამოცდილების უქონლობის გამო ცალკეული საკითხების გადაწყვეტას ხშირად ახერხებდნენ ცხარე კამათის, კონსულტაციების, საზღვარგარეთის ქვეყნებში ასეთი კამპანიების მოწყობის პრაქტიკის დაწვრილებით შესწავლის შემდეგ. რა თქმა უნდა, კომისიის მთელი წინასაარჩევნო საქმიანობის გვირგვინი იყო თვით არჩევნების დღე.

კომისიის თავმჯდომარის ირაკლი ჭორდანიას კაბინეტში, სამდივნოში, სამუშაო ჯგუფებში ტელეფონის განუწყვეტელ ზარს აქ დიდი ხანია მიეჩვიენენ, მაგრამ ამჯერად არც ერთი წუთით არ შემწყდარა იგი. კომისიის წევრები პასუხს სცემდნენ სხვადასხვა კითხვას. ისეც ხდებოდა, რომ იღებდნენ სიგნალებს ადგილებზე დარღვევებისა, საარჩევნო კანონიდან გადახრის თაობაზე. ყოველ ასეთ სიგნალზე ოპერატიულად რეაგირებდნენ. მაგრამ, როგორც აღმოჩნდებოდა ხოლმე, მეტწილად სიგნალები არ დასტურდებოდა. კომისიის წევრები, რომლებიც არჩევნებში მონაწილე ყველა პარტიისა და ბლოკის წარმომადგენლებიც იყვნენ, მთელი დღის განმავლობაში მუდმივ კონტროლს უწევდნენ მათთვის გამოყოფილ საარჩევნო ოლქებში კენჭისყრის მიმდინარეობას. მაღალი მთის რეგიონებთან შეუფერხებელი კავშირის უზრუნველყოფისათვის უშუალოდ კომისიის ერთ-ერთ ოთახში მოწყობილი იყო რადიოსადგური, რისთვისაც იზრუნეს სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან შექმნილი ეროვნული რადიოკლუბის „საქართველოს“ წევრმა ახალგაზრდებმა.

— ზუსტად კანონის შესაბამისად არჩევნების მოწყობა, მისი შედეგების ობიექტურობა უზრუნველყო არა მარტო საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების მწყობრმა მუშაობამ, არამედ იმანაც, რომ ადგილებზე იყვნენ ჩვენთან საერთაშორისო მეთვალყურეებად ჩამოსული ცნობილი ექსპერტები, პოლიტოლოგები, იურისტები. სოციოლოგები, პარლამენტარები, — თქვა ირაკლი ჭორდანიამ, — ჩამოსვლისთანავე ისინი განაწილდნენ რეგიონებში. ახლა მეთვალყურენი არიან როგორც თბილისში, ისე აფხაზეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში. საქართველოში არჩევნების მიმდინარეობის გაშუქებისათვის ჩამოვიდნენ საზღვარგარეთის მრავალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები, რომლებიც აკრედიტებული არიან სასტუმრო „აჭარის“ კონფერენც-დარბაზში დაბინავებულ საერთაშორისო პრესცენტრთან.

ადგილებიდან პირველი ცნობების მიღება კომისიამ დაიწყო დილის 11 საათზე. როგორც ინფორმაციებიდან ჩანდა, ამ დროისათვის მთლიანად საქართველოში უკვე ხმა მისცა ამომრჩეველთა 30 პროცენტმა. 17 საათისათვის ხმის მომცემთა რიცხვმა შეადგინა ორმოცდაათ პროცენტზე მეტი. პრაქტიკულად მთელ ღამეს და მთელ მომდევნო დღეს ზუსტდებოდა კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვი, იმ ხმების რაოდენობა, რომლებიც მიიღო ყოველმა პარტიულმა სიამ, დეპუტატობის კანდიდატმა, რომელიც პერსონალურად იყრიდა კენჭს. როგორც პარტიული სიების მიხედვით, ისე საარჩევნო ოლქებში არჩევნების საბოლოო შედეგებს ჯერ კიდევ აჯამებენ და კანონის თანახმად ცნობილი გახდება ხუთ დღეში.

საინფორმაციო სააგენტო „საქართველო“.



სურათებზე: პოლიტიკური პლატფორმების ასეთი მრავალფეროვნების ვითარებაში იოლი არ არის არჩევნის გაკეთება.

თეიდო ნიკოლაიშვილისა („კომუნისტი“) და პაატა არჩვაძის (საინფორმაციო სააგენტოს „საქართველოს“ ფოტოქრონიკა) ფოტოები.

საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლისათვის

პრესაში გამოქვეყნებული ხალხური მეურნეობის სტაბილიზაციისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ძირითადი მიმართულებანი განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია. ცხადია, ეს არის დღეს ყველა სამეურნეო ხელმძღვანელის, ეკონომიკასთან დაკავშირებული სწავლულის, საერთოდ, თითოეული ჩვენგანის მსჯელობის მთავარი საგანი. იგი არავის ტოვებს გულგრილს იმდენად, რამდენადაც ყველას ინტერესებს ეხება.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ სახალხო მეურნეობის მდგომარეობა კვლავ უარესდება. მცირდება წარმოების მოცულობა, ირღვევა სამეურნეო კავშირები, ძლიერდება სეპარატიზმი. დაცარიელებულია სამომხმარებლო ბაზარი, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტმა და გადახდისუნარიანობამ კრიზისულ ზღვარს მიაღწია. მატულობს ანტისოციალური მოვლენები და დანაშაულობანი. სულ უფრო და უფრო რთულდება ცხოვრება, იკარგება შრომის ინტერესი და მომავლის რწმენა.

ამიტომ საჭიროა საზოგადოების თანხმობაზე დაფუძნებული ენერგიული ზომები მეურნეობის სტაბილიზაციისათვის. დოკუმენტის დედაზარი ის არის, რომ არჩევანი გაკეთდა — საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას ალტერნატივა არა აქვს. მისი ეფექტიანობა და სიცოცხლისუნარიანობა მსოფლიო გამოცდილებამ დაამტკიცა. ბაზარზე გადასასვლელად მთავარია ეკონომიკის სტაბილიზაცია. ამ საკითხთან დაკავშირებული პრობლემები ოთხ ეტაპად უნდა გადაწყდეს. თითოეულ მათგანზე კონკრეტული საუბარი შორს წაგვიყვანს და ეს, ალბათ, არც არის საჭირო. ამ ეტაპებს მკითხველს თვითონ შეუძლია დაწვრილებით გაეცნოს ძირითად მიმართულებებში.

როგორც „მიმართულებებშია“ აღნიშნული, ამ დოკუმენტის განსაკუთრებული თავისებურება ის არის, რომ რესპუბლიკების საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის გზების არჩევნის თავისუფლება ენიჭებათ. ერთს შეუძლია გამოიყენოს შატალინისეული პროგრამის პრინციპები, მეორეს — უფრო ზომიერი, ასე ვთქვათ, „შეზავებული“ პროგრამა. რესპუბლიკები ხდებიან უფლებამოსილნი თვითონ გადაწყვიტონ მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხიც. ეს მართალია, მაგრამ სწორია ისიც, რომ, როგორც ჩანს, მართვის ძირითადი ბერკეტები მაინც ცენტრს რჩება.

რეფორმის საწყის ეტაპზე უპირველესი ამოცანაა ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღება და დამკვიდრებული სამეურნეო კავშირების შენარჩუნება. სხვანაირად ეკონომიკის სტაბილიზაციაზე ლაპარაკი მხოლოდ ლაპარაკად დარჩება. თავდაპირველად, როგორც ბევრს ახსოვს, მომავალი წლის იანვრიდან მთავრობის პროგრამა საცალო ფასების ცენტრალიზებულ მკვეთრ ზრდას გვთავაზობდა, მათ შორის სურსათზე — ორჯერ და მეტადაც. ძირითად მიმართულებებში აღნიშნულია, რომ გარკვეულ ეტაპზე ზოგიერთ სასურსათო და არასასურსათო საქონელზე სახელმწიფო ფასები უცვლელი დარჩება. მერე კი კონტროლი საცალო ფასებზე თანდათანობით მოიხსნება და 1992 წლისათვის მკაცრ კონტროლს მხოლოდ უპირველესი მოთხოვნის საგნები დაექვემდებარება. ლაპარაკია პურისა და პურპროდუქტების, ხორცისა და ხორცეულის ცალკეულ სახეობებზე, შაქარზე, მედიკამენტებზე, სასკოლო სახელმძღვანელოებზე, ზოგიერთი ფორტმენტის საბავშვო საქონელზე და ა. შ.

რაც შეეხება არა პირველი მოთხოვნის საქონელს, მათი ფასები გაიზრდება, თუმცა არავინ იცის რამდენჯერ. მიმართულებებში აღფერია ნათქვამი იმის თაობაზე, თუ რამდენად დაქვეითდება ცხოვრების დონე.

როგორც უკვე ითქვა, უწინარეს ყოვლისა, გადასაწყვეტია ფინანსებისა და ფულის მიმოქცევის გაჯანსაღების პრობლემა. რადიკალურად უნდა შემცირდეს საკავშირო და რესპუბლიკური ბიუჯეტების დეფიციტი. შემცირება მოხდება იმ მშენებარე ობიექტების შეჩერების ხარჯზე, რომლებზეც არ არის დიდი შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა. ეს არ შეეხება მხოლოდ სახალხო მოხმარების გამოსაშვებად გათვალისწინებულ საწარმოო სიმძლავრეების, საცხოვრებელი სახლებისა და სოციალური სფეროს ობიექტების მშენებლობას. შეიკვეცება აგრეთვე თავდაცვის სამინისტროსა და უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის საჭიროებათა ნავარაუდევი სახსრები, საწარმოების დოტაციის, სახელმწიფო აპარატის შენახვი და სხვა ღონისძიებებისათვის გათვალისწინებული თანხები.

ვნახოთ, რას მოგვიტანს ეს ღონისძიებანი. ჯერჯერობით კი საქმე მეტად არასახარბიელოდ გამოიყურება. ვადაგადაცილებული დავალიანების თანხამ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ბანკის სესხების, საწარმოებისა და სხვა ორგანიზაციების ურთიერთანგარიშსწორების მიხედვით მიმდინარე წლის სექტემბრის დამდეგისათვის შეადგინა 3204 მილიონი მანეთი, რაც 18,4 პროცენტით აღემატება შარშანდელი შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. წლევანდელი რვა თვის მანძილზე, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, ფულის ემისია თითქმის 280 მილიონი მანეთით შემცირდა, მაგრამ რად გინდა: მთლიანად მესამე კვარტალში მიმოქცევაში გამოშვებულმა ფულის მასამ ლამის იმდენსავე — 266,4 მილიონ მანეთს მიაღწია. დიდი გადაჭარბებაა საკასო გეგმის სამშემოსავლო ნაწილის შესრულების მიმართულებით. შარშანდელ იანვარ-სექტემბერთან შედარებით ბანკების სალაროებში შევიდა 1265,6 მილიონი მანეთით მეტი. ასეთი დიდი ზრდა ძირითადად კავშირგაბმულობის სამინისტროს სისტემის საწარმოებისა და შემნახველი ბანკების შენატანების ხარჯზე მოხდა. სამგაეროდ საკმაოდ დიდი თანხები გადაიხარჯა საკასო გეგმის გასავლის ნაწილში. ნავარაუდევზე მეტი თანხებია გაღებული ხელფასების გასაცემად და ზოგიერთი სხვა მიზნებისათვის. ოქტომბრის დამდეგისათვის მოსახლეობის ანაბრებმა საქართველოს რესპუბლიკური ბანკის შემნახველი დაწესებულებებში 9,3 მილიარდი მანეთი შეადგინა, რაც 1,5 მილიარდი მანეთით აღემატება შარშანდელ მაჩვენებელს. ამის შემდეგ ადვილი წარმოსადგენია, ფულის რა მასაა გამოშვებული მიმოქცევაში. ამასთან, ცხადია, ვერ ვარ, რომ მაინც მოვესწარი ამ დღეს, ვიხილე ჩემი თანამემამულეები. გაესაკეთებინა ჩემი სახეები. ღმერთმა ნუ ქნას, მათი იმედი არ გამართლდეს.

ქალაქში განლაგებული ხუთიდან საარჩევნო ოლქის ყოველ უბანში იკრძნობოდა ამომრჩეველთა აქტიურობა. დილის 11 საათისათვის დეპუტატებს უკვე ხმა მისცა ამომრჩეველთა ნახევარზე მეტმა.

ჩვენს, დავით აღმაშენებლის საარჩევნო ოლქში კენჭისყრამ ნორმალურად ჩაიარა, მკაცრად იყო დაცული საარჩევნო კანონი, — თქვა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ თენგიზ კაკუშაძემ. რაც შეეხება ჩემს პირად აზრს, ვფიქრობ, რომ მომავალში ეს კანონი მაინც უნდა დაიხვეწოს.

... ცენტრალური საარჩევნო კომისია. გაუჭირდა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ახალგაზელი არჩევნების ამ შტაბის კოლექტივს. მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში აქ უჩვეულოდ დიდი მოცულობის მუშაობა გასწიეს პირველი მრავალპარტიული არჩევნების მომზადებისა და მოწყობისათვის. გამოცდილების უქონლობის გამო ცალკეული საკითხების გადაწყვეტას ხშირად ახერხებდნენ ცხარე კამათის, კონსულტაციების, საზღვარგარეთის ქვეყნებში ასეთი კამპანიების მოწყობის პრაქტიკის დაწვრილებით შესწავლის შემდეგ. რა თქმა უნდა, კომისიის მთელი წინასაარჩევნო საქმიანობის გვირგვინი იყო თვით არჩევნების დღე.

კომისიის თავმჯდომარის ირაკლი ჭორდანიას კაბინეტში, სამდივნოში, სამუშაო ჯგუფებში ტელეფონის განუწყვეტელ ზარს აქ დიდი ხანია მიეჩვიენენ, მაგრამ ამჯერად არც ერთი წუთით არ შემწყდარა იგი. კომისიის წევრები პასუხს სცემდნენ სხვადასხვა კითხვას. ისეც ხდებოდა, რომ იღებდნენ სიგნალებს ადგილებზე დარღვევებისა, საარჩევნო კანონიდან გადახრის თაობაზე. ყოველ ასეთ სიგნალზე ოპერატიულად რეაგირებდნენ. მაგრამ, როგორც აღმოჩნდებოდა ხოლმე, მეტწილად სიგნალები არ დასტურდებოდა. კომისიის წევრები, რომლებიც არჩევნებში მონაწილე ყველა პარტიისა და ბლოკის წარმომადგენლებიც იყვნენ, მთელი დღის განმავლობაში მუდმივ კონტროლს უწევდნენ მათთვის გამოყოფილ საარჩევნო ოლქებში კენჭისყრის მიმდინარეობას. მაღალი მთის რეგიონებთან შეუფერხებელი კავშირის უზრუნველყოფისათვის უშუალოდ კომისიის ერთ-ერთ ოთახში მოწყობილი იყო რადიოსადგური, რისთვისაც იზრუნეს სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან შექმნილი ეროვნული რადიოკლუბის „საქართველოს“ წევრმა ახალგაზრდებმა.

— ზუსტად კანონის შესაბამისად არჩევნების მოწყობა, მისი შედეგების ობიექტურობა უზრუნველყო არა მარტო საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების მწყობრმა მუშაობამ, არამედ იმანაც, რომ ადგილებზე იყვნენ ჩვენთან საერთაშორისო მეთვალყურეებად ჩამოსული ცნობილი ექსპერტები, პოლიტოლოგები, იურისტები. სოციოლოგები, პარლამენტარები, — თქვა ირაკლი ჭორდანიამ, — ჩამოსვლისთანავე ისინი განაწილდნენ რეგიონებში. ახლა მეთვალყურენი არიან როგორც თბილისში, ისე აფხაზეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში. საქართველოში არჩევნების მიმდინარეობის გაშუქებისათვის ჩამოვიდნენ საზღვარგარეთის მრავალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები, რომლებიც აკრედიტებული არიან სასტუმრო „აჭარის“ კონფერენც-დარბაზში დაბინავებულ საერთაშორისო პრესცენტრთან.

ადგილებიდან პირველი ცნობების მიღება კომისიამ დაიწყო დილის 11 საათზე. როგორც ინფორმაციებიდან ჩანდა, ამ დროისათვის მთლიანად საქართველოში უკვე ხმა მისცა ამომრჩეველთა 30 პროცენტმა. 17 საათისათვის ხმის მომცემთა რიცხვმა შეადგინა ორმოცდაათ პროცენტზე მეტი. პრაქტიკულად მთელ ღამეს და მთელ მომდევნო დღეს ზუსტდებოდა კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვი, იმ ხმების რაოდენობა, რომლებიც მიიღო ყოველმა პარტიულმა სიამ, დეპუტატობის კანდიდატმა, რომელიც პერსონალურად იყრიდა კენჭს. როგორც პარტიული სიების მიხედვით, ისე საარჩევნო ოლქებში არჩევნების საბოლოო შედეგებს ჯერ კიდევ აჯამებენ და კანონის თანახმად ცნობილი გახდება ხუთ დღეში.

საინფორმაციო სააგენტო „საქართველო“.

სტაბილიზაციის ეტაპები

სრულდება მოგების გეგმები. საწარმოებმა და ორგანიზაციებმა იანვარ-აგვისტოში მიმდინარე წლის გეგმასთან შედარებით 73,4 მილიონი მანეთით, ხოლო შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 183,3 მილიონი მანეთით ნაკლები მოგება, ანუ ასეთია ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების წინა პერიოდი.

ახლა რაც შეეხება სამეურნეო კავშირების შენარჩუნებას. ჯერჯერობით ეს კავშირები ყოველთვიურად ირღვევა, ნაწილობრივ ან სრულიად ვერ ვიღებთ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნედლეულს, მასალებსა და, ცხადია, ამის გამო ვერ ვაწვდით მომხმარებელს ვალდებულებით ნაკისრ პროდუქციის რაოდენობას. იმას, თუ რამდენად მოიშალა კავშირები მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ შარშან იანვარ-სექტემბერში შემკვეთმა საქართველოს მრეწველობიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებულთან შედარებით მიიღო 176,3 მილიონი მანეთით. ხოლო წლეულს — 432,9 მილიონი მანეთით ნაკლები პროდუქცია. როცა ვამბობთ, სამეურნეო კავშირები ყოველთვიურად ირღვევიო, ეგულისხმობთ იმასაც, რომ იანვარ-აგვისტოსთან შედარებით ცხრა თვეში პროდუქციის მიწოდების დავალების შესრულებას 0,7 პროცენტული პუნქტი დაეკლდა. არის საჭირო ჩამოთვალო ეგრეთ წოდებული „ჩამორჩენილი“ ორგანიზაციები, ან შესაძლებელია კი ეს ერთ საგაზეთო წერილში. თუ მათმა რიცხვმა 300-ს, ანუ საბრეწველო საწარმოთა საერთო რაოდენობის 34 პროცენტს გადაეჭარბა? ეგეც არ იყოს, მეტ-ნაკლებად თავის გასამართლებელი სბუთი ყველა მათგანს აქვს.

არ უნდა მტკიცება იმაზე, რომ ძირითადად სწორედ სამეურნეო კავშირებზეა დამოკიდებული წარმოების მოცულობა, რომელიც კატასტროფულად მცირდება. მოცულობა შეამცირა სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა კომპლექსმა, საწარმოთა საერთო რიცხვის თითქმის 54-მა პროცენტმა, რაც ფულადი გამოხატულებით 787,3 მილიონი მანეთის დანაკარგს ნიშნავს. მიუხედავად იმისა, რომ სამრეწველო საწარმოო პერსონალი ცხრა თვეში საკმაოდ მნიშვნელოვნად, თითქმის ხუთი პროცენტით შემცირდა, შრომის ნაყოფიერება არ იზრდება. იმ ოთხმოცი დასახელების სამრეწველო პროდუქციიდან, რომელსაც სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი ოპერატიულად

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადისკუსიო კლუბი

ეკონომიკა ადამიანობის კანონით

ჩვენი ეკონომიკის მდგომარეობაზე ზოგადი წარმოდგენა ყველას აქვს, ვგრძნობთ კიდეც მის დასნებოვანებას. საერთოდ უნდა ითქვას, რომ სიძნელეთა და კრიზისული მოვლენების გარეშე ეკონომიკა არსად და არ არსებული და არ განვითარებულა, მაგრამ ჩვენში მდგომარეობა ახლა განსაკუთრებით მძიმეა. ამასთან დაკავშირებით რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ საქართველოს სახალხო მეურნეობის ეკონომიკის და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგეს, **ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატს გიორგი მალაშხიას.**

— გთხოვთ, გულახდილად გვითხრათ ეკონომიკაში შექმნილი ვითარების შესახებ. კერძოდ, რატომ ვერ მოიარგეს ჩვენმა ხელმძღვანელებმა მთელი რიგი ეკონომიკური რეფორმები, ეს კიდევ ერთხელ ხომ არ მეტყველებს იმაზე, რომ ადმინისტრაციული სისტემა სხვაა და საბაზრო სისტემა სხვა? რა უნდა გაკეთდეს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის. მიგაჩნიათ თუ არა, რომ სწორედ იგი გახდება საბეურნეო პოლიტიკის მაგისტრალური ხაზი?

— მოვლენათა განვითარება მართლაც არასახარბიელოა, კრიზისი ღრმავდება, მას ბოლო არ უჩანს. ჩვენი რესპუბლიკა აგერ ხუთი წელია ერთ ადგილს ტკეპნის ან უკან მიდის. ეროვნული შემოსავლის დანაკარგი ამის გამო 8 მილიარდ მანეთს შეადგენს. ეს დაახლოებით იმდენია, რამდენიც მთელი 30 წლის მანძილზე დაბანდდა ბინების მშენებლობაზე.

კიდევ, რასაც მინდა ყურადღება მივაქციო და რაც ვითარებას ართულებს, ეს სოციალური უსამართლობის გამწვავებაა. არსებული სიძნელეებით ხელს ითბობს მოსახლეობის ერთი ნაწილი, იგი დანარჩენთა ხარჯზე მდიდრდება. გაჭირვებულთა და უკანონოდ გამდიდრებულთა კეთილდღეობას შორის უფსკრული ღრმავდება. ცნობილია, როგორ მატულობს ბოროტმოქმედებანი ეკონომიკური მოტივით. ეს ყველაფერი კრიზისზე ნაკლებად საზიანო როდია ხალხისათვის.

თქვენ სწორი ბრძანდებით, რომ აქცენტი საწარმოთა მდგომარეობაზე გაკეთეთ. საერთოდ, რა მდგომარეობაშიც არიან საწარმოები, ისეთი ვითარებაა ეკონომიკაში მთლიანად. წინანდელ ეკონომიკურ რეფორმებზე რა შეიძლება ითქვას? ნამდვილი ეკონომიკური რეფორმა ჩვენს სინამდვილეში არ განხორციელებულა, ისინი ფორმალურნი ან სანახევრონი იყვნენ. ამას მოწმობს მათი უშედეგობა. სხვანაირად არ იქნებოდა: აღნიშნულ რეფორმებს ეკონომიკის ნორმალური, ბუნებრივი განვითარების საკითხები არ აღუძრავთ და არ გადაუწყვეტიათ ბოლომდე. მხედველობაში გვაქვს ნებისმიერი ეკონომიკის გამართულად მუშაობის ძირეული პირობები: დაინტერესება, ეკონომიკური მიზანშეწონილობა (ეფექტიანობა), ეკვივალენტური გაცვლა, წონასწორობა, სამართლიანობის თავისუფლება (უაზრო შეზღუდვების არარსებობა).

ცალმხრივობა რომ არ იყოს და ეკონომიკა მთელი საზოგადოების ინტერესებსა და პროგრესს ემსახურებოდეს, აუცილებელია ეკონომიკური პრინციპები „დაბალანდეს“ სოციალურ სამართლიანობასთან, სამეურნეო ქმედების ზნეობასთან, პოლიტიკურ დემოკრატიზმთან.

ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობის პირობათა გამოყენების ფაქტორია სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, რომლის ობიექტურობა, აზრიანობა, პროგრესულობა განსაზღვრავს ეკონომიკური და არაეკონომიკური პირობების (პრინციპების) ერთობლივ მოქმედებას და ეფექტიანობას.

როგორც ვიცით, არც ერთი ზემოთ დასახელებული პირობა და პრინციპი არ ყოფილა ჩვენს ეკონომიკაში სრულფეროვნად დაცული. პირიქით, შეიმჩნეოდა ძალადობა ეკონომიკური კანონების და ეკონომიკის მიმართ, სუბიექტივიზმი, დიქტატი, არაკომპეტენტური, არამიექტიური გადაწყვეტილებები და მოქმედება. მართვის ადმინისტრაციულ-ბრძანებლური სისტემა ეკონომიკის შინაგანი ბუნების ანტიპოდია, მისი დემონტაჟი კი ჰიპერურდება, განუკითხაობა და გაურკვევლობა სუფევს, ძნელია გაიგო, საით მივდივართ.

ეკონომიკის რეგულირება-გაძღოლაში დაუყოვნებლივ უნდა დამკვიდრდეს მისი იმანენტური ბუნების შესაბამისი პრინციპები, ბერკეტები, მეთოდები, რომლებიც უნდა ხორციელდებოდეს დემოკრატიული წესით შემუშავებული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის მეშვეობით. გავლილ პერიოდში ეკონომიკის განვითარების დიდი შემაფერხებელი ფაქტორი იყო არადემოკრატიული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემა, რომელიც მოწყვეტილი იყო ობიექტური რეალობის მოთხოვნებს, მის შესაბამისად მოქმედების უნარს.

მე, როგორც მეცნიერების წარმომადგენელმა, არ შემიძლია არ აღვნიშნო თეორიული დოგმების უარყოფითი როლი, რომლებიც დიდი ხანია გზა-კვალს უბნევს საზოგადოებას, ეკონომიკას. კერძოდ, ეს იყო სახელმწიფო საკუთრების უპირატესობათა მტკიცება, მისი წმინდათა წმინდად შერაცხვა, ე. წ. წარმოების საშუალებათა უპირატესი განვითარების კანონის დაცვა, მოთხოვნა-მიწოდების კანონის უარყოფა, დირექტიული დაგეგმვის უპირატესობის და აუცილებლობის აღიარება, სახმარი ღირებულების გამორიცხვა ეკვივალენტური გაცვლის საფუძველიდან და ა. შ.

ახლა კი თითქოს აღმოაჩინეს „ჯადოსნური კვერთხი“, უებარი წამალი — საბაზრო ეკონომიკა, ბაზარი, თუმცა ის დიდი ხანია არსებობს. იქმნება ე. წ. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფციები. მაგრამ, როგორც ძველები ამბობდნენ, „წვერს ვხედავ და ფილოსოფოსს ვერაო“. ისეთ გზას ვერ სახავენ, რომ მისი იარწმუნონ.

ნურვის გააღიზიანებს, თუ ქვემოთ არაორდინარულ აზრებს გამოთქვამ. აზრთა სხვადასხვაობა ეშმარიტებასთან მოახლოებაში დაგვეხმარება, რომლის პრეტენზია ცალკე არავის არ უნდა ჰქონდეს. ახლა მთელი კამპანიაა გაჩაღებული ე. წ. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, ცდილობენ კანონებით და დეკრეტებით ქვეყნის ეკონომიკა ახალ სამყაროში გადაიყოროონ. კანონების შექმნაში სსრ კავშირმა ყველა მსოფლიო რეკორდი მოხსნა. თუმცა ეს კანონები დუმან, ვერ კანონობენ. ბაზარიზაციაზე ფუსფუსი არნახული მასშტაბით გაიშალა. უნებლიედ მოგაგონდება „სოვნარხოზიზაცია“, „ინტენსიფიკაცია“, „სოციალური ორიენტაციის ხაზი“, „დაჩქარების კურსი“ და სხვა კამპანიები. რაც გამოვიდა მათგან, ცნობილია.

უპირანია დაისვას კითხვა: ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდნა — ჩვენი ცხოვრების ეს თანამგზავრი მოვლენა კვლავ ხომ არ იჩენს აქ თავს? მიგვეყვანს კი ყველაფერი ეს „ღიმქმელ ქვეყანასთან?“.

ბაზარზე ეკონომიკის გადაყვანა ისე, როგორც ახლა ფიქრობენ, შეუძლებლად მეჩვენება. პროცესები ეკონომიკაში შინაგანად უნდა მომწიფდეს მისი კანონზომიერების და საზოგადოების ინტერესების გაერთნიერ. რეფორტიული მსჯერეა, „აფეთქება“ რა სახარბიელოცაა, ვიცით ისტორიული გამოცდილებით. დეკრეტები კი ვერ უზრუნველყოფენ ახალი პირობების შექმნას, ისინი, პირიქით, ახალ პირობებს უნდა შეესაბამებოდეს და მათს განმტკიცებას ემსახურებოდეს.

ბაზრის, საბაზრო ურთიერთობათა იდეალიზაცია ინფანტილობად გამოიყურება. თითქოს ე. წ. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლაა დაგვრჩა, და ყველა პრობლემა მოიხსნება, იგი სიუხვეს შექმნის. რა შეიძლება ითქვას საბაზრო ეკონომიკაზე საერთოდ?

ჯერ ერთი, ჩვენი აზრით, ეს ტერმინი ზუსტი არაა, მას მართალია, ხშირად ხმარობენ, მაგრამ ჩვენ სამომავლო მაგისტრალური გზის არჩევისას ზუსტი ტერმინი გვჭირდება. ბაზარი ეკონომიკის ნაწილია, მაგრამ ის მთლიანად მის ხასიათს ვერ განსაზღვრავს. თანამედროვე მაღალგანვითარებული ქვეყნების მეცნიერები თვლიან, რომ იქ საბაზრო კი არა, შერეული, „შერწყმული“ ეკონომიკაა. (პროფ. ჩარლზ ბერი, აშშ); ბაზრის ალტერნატივა პოლიტიკაა (მიკელ დანიელსონი, აშშ) და ა. შ.

ბაზარი ეკონომიკისათვის ისევე აუცილებელია, როგორც სისხლის მიმოქცევა ორგანიზმისათვის, ურომლისოდაც ეკონომიკა კვდება. მაგრამ ეკონომიკისათვის ასევე აუცილებელია გაცნობიერებული საზოგადოებრივი მოქმედება — პოლიტიკა, აწონილ-დაწონილი სტრატეგია, ტაქტიკა და ა. შ. როგორც ორგანიზმისათვის გონებაა საჭირო, რომლის გარეშე ის ვერ არსებობს, ისე ეკონომიკას ინტელექტუალური ფაქტორი სჭირდება სწორი მიზანდასახულობის და ორგანიზებულობისათვის, როგორიც შეიძლება იყოს დემოკრატიული პარლამენტი და მართვის სისტემა.

ეკონომიკის ბაზრამდე დაყვანა აბსურდია, როგორც ამას ზოგიერთი აკეთებს. ბაზარზე არაფერი არ იქმნება. ეკონომიკის ზრდის ენერგიის წყაროა ადამიანის — მთავარი საზოგადოებრივი ძალის ინტელექტუალური განვითარება, ნოვატორულ-შემოქმედებითი საქმიანობა, საზოგადოებრივი შემეცნების, კულტურის დონე ბუნებრივ პირობებთან ერთად, ე. ი. ფაქტორთა მთელი კომპლექსი და არა მარტო ბაზარი.

საერთოდ, ეკონომიკა საზოგადოებრივი ცხოვრების მთავარი, მაგრამ მისი სოციალური განვითარების მიზნებს, ამოცანებს დამორჩილებული სფეროა, მისი განვითარება საზოგადოების სხვა სფეროების, სოციალური, პოლიტიკური, ეკოლოგიური, ზნეობრივი, კულტურული პროცესების, საერთო საზოგადოებრივი კანონების დიდი გავლენით მიმდინარეობს და არა მარტო შინაგანი (ბაზრის მექანიზმის) კანონებით, ამიტომ მარტო საბაზრო მექანიზმის სრულად ამუშავება. მას წინ ვერ წაწევს.

საბაზრო ურთიერთობები რომ ერთადერთი გადამწყვეტი ფაქტორი იყოს ეკონომიკის განვითარებაში, მსოფლიოში ახლა რამდენიმე ქვეყნის ეკონომიკა კი არ იქნებოდა აყვავებული, არამედ უმრავლესი ქვეყნებისა, აბა, გავიხსენოთ, რა მდგომარეობაა აზიის, სამხრეთ ამერიკის, აფრიკის ცალკეულ ქვეყნებში, სადაც ე. წ. საბაზრო ეკონომიკა არსებობს.

მეორე, ჩქმავალენ ბაზრის მანკიერებებს, მას ცალმხრივად, მხოლოდ ნათელი ფერებით ხატავენ. ეს კი მასზე სწორი შეხედულებების ჩამოყალიბებას ხელს უშლის. არადა, ხალხს სრული და მართებული შეხედულება სჭირდება ბაზრის შესახებ.

ქვემოთ შევჩერდები მის ზოგიერთ ნაკლზე. საბაზრო ურთიერთობა, ბაზარი უშუალოდ ნეიტრალურია გლობალური და საერთოდ ნებისმიერი სოციალური მიზნების, ინტერესების, საკაცობრიო ღირებულებათა მიმართ, მას მხოლოდ ეკონომიკური ეფექტიანობა, ეკონომიკური შედეგი „აინტერესებს“, ამდენად წინააღმდეგობრივია (თუმცა, ცხადია, იგი არ შეიძლება არ ემსახურებოდეს სოციალურ ამოცანას, მაგრამ ეს გაშუალებით ხდება). იგი არად დაგიდგეს ეკოლოგიის, ადამიანთა ჯანმრთელობის, ფუნდამენტურ-მეცნიერულ, ზოგად-კულტურული განვითარების პრობლემებს და სხვ. დანახარჯთა მინიმიზაციის პრინციპის ბრძოლის გამო იგი კიდევაც უპირისპირდება ამ პრობლემათა გადაწყვეტას, რისი გამოსწორებაც საზოგადოების სხვა ინსტიტუტების და ინსტრუმენტების მეშვეობით ხდება.

საკუთრივ საბაზრო მექანიზმი სასტიკი, ულმობელია. ის ხშირად, შემთხვევით შექმნილი სიტუაციების გამოც კი მასობრივად აკოტრებს, აჩანაგებს მეურნეობათა წინდების მთელი მარაგი შეისყიდეს, შემდეგ ოდნავ შეალამაზეს და რამდენჯერმე მეტ ფასად გაყიდეს. ეს მომხმარებელთა მოსახლეობაა. ასე ესმის ბიზნესმენს. მას აზრად არ მოსვლია ამათი ინტერესის დაცვა, ვინც დაზარალდა, ვისი ფულიც გაუფასურდა. მოგწონთ? ვიცი, ბევრს მოეწონება, ვინც სხვის ხარჯზე გამდიდრებას სათაკილოდ არ მიიჩნევს.

ამრიგად, ბაზარი არც ისეთი სიკეთის მომტანია, როგორადაც მას ხატავენ. გონივრულ, ობიექტურ კანონზომიერებებზე დამყარებულ პოლიტიკას შეუძლია ბაზრის მექანიზმზე მაღლა იდგეს და უკეთ გადაწყვიტოს (ბაზრის გამოყენებით, ცხადია) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები.

ბაზარი წესრიგის დამყარების საშუალებაა, რეგულირების იარაღია, ამბობენ. ეს სწორია, მაგრამ ხომ ვნახეთ, რაოდენ წინააღმდეგობრივია იგი. ამერიკელი (ყოფილი საბჭოთა) ეკონომისტი ბარმანი ამბობს: ბაზარი ეკონომიკის რეგულირების სრულყოფილი იარაღი არაა, მაგრამ აქამდე უკეთესი არაფერი შექმნილაო.

მაგრამ კაცობრიობას მხოლოდ ბაზარი არ შეუქმნია ეკონომიკის რეგულირებისათვისაც. მხოლოდ ბრმა ბაზრით ის მომავლის ამოცანებს ვერ გადაწყვეტს. ეკონომიკური პოლიტიკა, პროგრამული მართვა, დემოკრატიული გეგმიანობა — ეს ხომ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ამჟამადაც ფართოდ გამოყენებული ბერკეტებია, რომელთა შემწეობითაც წყდება სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის ამოცანები. დიდი შინაგანი სიძნელეების დაძლევა და დაწინაურება მთელმა რიგმა ქვეყნებმა (იაპონია, კორეა, გფრ, თურქეთი და სხვ) შეძლეს არა საბაზრო მექანიზმის, არამედ საფუძვლიანი, პროგრესული მეცნიერულ-ტექნიკური, ინვესტიციური, სტრუქტურული პოლიტიკით.

ამრიგად, პერსპექტივაში ჩვენი ეკონომიკა სასურველია უფრო სრულყოფილ ეკონომიკად წარმოვიდგინოთ, ვიდრე ე. წ. საბაზრო ეკონომიკაა, რომ უკეთ გადაწყდეს საზოგადოების მომწიფებული სოციალური ამოცანები მთელი ხალხის ინტერესების გათვალისწინებით. იგი ბაზრის კანონებთან ერთად სოციალური სამართლიანობის, ზნეობის, საერთოდ ადამიანურობის კანონებით უნდა იყოს რეგულირებული.

— როგორც ვხედავთ, ცენტრალიზებული გეგმიური სისტემის დაშლა დამოკიდებულ ქვეყანაში ერთბაშად შეუძლებელია. თქვენი აზრით, რამდენ ხანს გასტანს დირექტიული დღევანდელობიდან კომერციულ ხვალინდელ დღეზე გადასვლის გარდამავალი პერიოდი და რა უნდა გაკეთდეს მისი დაჩქარებისათვის, უდავოა, რომ შერეული ტიპის ეკონომიკის საფუძველზე მწარმოებელი თავისუფალი უნდა გახდეს, რა არის ამისათვის საჭირო?

— ჰიპერტროფირებული ცენტრალიზმისა და ე. წ. გეგმიანობის (ფაქტობრივად დიქტატისა და ბიუროკრატიის თვითნებობის) არსებული სისტემის ჩამოშორება აუცილებელია ეკონომიკის აღორძინებისათვის. მაგრამ ეს პროცესი ნელა მიმდინარეობს. იგი უნდა დაჩქარდეს. ამასთან, კარგად უნდა ვიცოდეთ, თუ როგორი ეკონომიკის სამყაროში შევდივართ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ საშიშროებას შეიცავს მკვეთრი ნაბტომები, შემობრუნებები. მათ შეიძლება ნგრევა, კატასტროფები მოჰყვეს. არავის არა აქვს უფლება პროცესები ხელოვნურად დაჩქარეს და ხალხის ბედი სასწორზე შეაგდოს.

სხვა რომ არაფერი, ახალ პირობებს ადაპტირება უნდა. ახლანდელმა თაობამ რატომ უნდა განიცადოს კიდევ ერთი ძლიერი დარტყმა ეკონომიკაზე ძალადობის ახალი ფორმით?

განსაკუთრებით საშიშია დესტაბილიზაცია ეკონომიკური კავშირების. ეს ტერმინი ალეგორიულია. ეს ნიშნავს, ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთბაშად შეუძლებელია. თქვენი აზრით, რამდენ ხანს გასტანს დირექტიული დღევანდელობიდან კომერციულ ხვალინდელ დღეზე გადასვლის გარდამავალი პერიოდი და რა უნდა გაკეთდეს მისი დაჩქარებისათვის, უდავოა, რომ შერეული ტიპის ეკონომიკის საფუძველზე მწარმოებელი თავისუფალი უნდა გახდეს, რა არის ამისათვის საჭირო?

— ჰიპერტროფირებული ცენტრალიზმისა და ე. წ. გეგმიანობის (ფაქტობრივად დიქტატისა და ბიუროკრატიის თვითნებობის) არსებული სისტემის ჩამოშორება აუცილებელია ეკონომიკის აღორძინებისათვის. მაგრამ ეს პროცესი ნელა მიმდინარეობს. იგი უნდა დაჩქარდეს. ამასთან, კარგად უნდა ვიცოდეთ, თუ როგორი ეკონომიკის სამყაროში შევდივართ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ საშიშროებას შეიცავს მკვეთრი ნაბტომები, შემობრუნებები. მათ შეიძლება ნგრევა, კატასტროფები მოჰყვეს. არავის არა აქვს უფლება პროცესები ხელოვნურად დაჩქარეს და ხალხის ბედი სასწორზე შეაგდოს.

სხვა რომ არაფერი, ახალ პირობებს ადაპტირება უნდა. ახლანდელმა თაობამ რატომ უნდა განიცადოს კიდევ ერთი ძლიერი დარტყმა ეკონომიკაზე ძალადობის ახალი ფორმით?

განსაკუთრებით საშიშია დესტაბილიზაცია ეკონომიკური კავშირების. ეს ტერმინი ალეგორიულია. ეს ნიშნავს, ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთბაშად შეუძლებელია. თქვენი აზრით, რამდენ ხანს გასტანს დირექტიული დღევანდელობიდან კომერციულ ხვალინდელ დღეზე გადასვლის გარდამავალი პერიოდი და რა უნდა გაკეთდეს მისი დაჩქარებისათვის, უდავოა, რომ შერეული ტიპის ეკონომიკის საფუძველზე მწარმოებელი თავისუფალი უნდა გახდეს, რა არის ამისათვის საჭირო?

— ჰიპერტროფირებული ცენტრალიზმისა და ე. წ. გეგმიანობის (ფაქტობრივად დიქტატისა და ბიუროკრატიის თვითნებობის) არსებული სისტემის ჩამოშორება აუცილებელია ეკონომიკის აღორძინებისათვის. მაგრამ ეს პროცესი ნელა მიმდინარეობს. იგი უნდა დაჩქარდეს. ამასთან, კარგად უნდა ვიცოდეთ, თუ როგორი ეკონომიკის სამყაროში შევდივართ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ საშიშროებას შეიცავს მკვეთრი ნაბტომები, შემობრუნებები. მათ შეიძლება ნგრევა, კატასტროფები მოჰყვეს. არავის არა აქვს უფლება პროცესები ხელოვნურად დაჩქარეს და ხალხის ბედი სასწორზე შეაგდოს.

სხვა რომ არაფერი, ახალ პირობებს ადაპტირება უნდა. ახლანდელმა თაობამ რატომ უნდა განიცადოს კიდევ ერთი ძლიერი დარტყმა ეკონომიკაზე ძალადობის ახალი ფორმით?

— ალბათ, ნათელია, რომ საბაზრო ურთიერთობა არარენტაბელური, წამგებიანი საწარმოს არსებობას გამორიცხავს. წლის განვლილი შედეგების მიხედვით რესპუბლიკის ეკონომიკაში არცთუ სახარბიელო მდგომარეობაა. რა იქნება ხვალ?

— ვერც ერთი ეკონომიკური სისტემა ვერ ითმენს ზარალიან საწარმოებს, რადგან ისინი ეკონომიკას ანადგურებენ. ჩვენს რესპუბლიკაში წამგებიან საწარმოთა რიცხვი საერთო ოდენობის მეათედს შეადგენს. მათი ზარალი კი ეროვნული შემოსავლის ამდენივე ნაწილის ტოლია. ეს დაახლოებით 5-ჯერ მეტი სახსრებია, ვიდრე უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებისათვის იხარჯება (ამისათვის საჭირო მანეთებს კი მშობელთა ჯიბეებში ვეძებთ).

როგორც ვიცით, საბაზრო მექანიზმით რეგულირებისას ასეთი საწარმოები კოტრდებიან, უქმდებიან. დასაშვებია, რომ ჩვენთან-აც ასე მოხდეს? მათ მიერ წარმოებული ბევრი პროდუქტი აუცილებელია საზოგადოებისათვის. იქ ათეულ ათასობით ადამიანი მუშაობს. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბევრ შემთხვევაში წამგებიანობა გამოწვეულია არსებული სამეურნეო მექანიზმის სამაზინჯით — უხეირო დაგეგმვით, არასწორი ფასწარმოქმნით და არა ცუდი მუშაობით. გამართული ეკონომიკური სისტემის შექმნის შემდეგ ზარალიან საწარმოთა უმრავლესობა უთუოდ დაიწყებს თავს ზარალს. სხვა ზარალიანი საწარმოები უნდა გადაკეთდეს, მუშაობის მიმართულება შეეცვალოს, დინარჩენს უნდა დავეხმაროთ. სანამ გაჭირვებიდან გამოვლენ, მაგალითად, — შეღავათიანი სესხით. ზარალიანობა უკურნებელი სენი არაა, თუ სანაციის მოქნილი ღონისძიებები განხორციელდება.

— აკადემიკოს შატალინის ჯგუფის მიერ შედგენილ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროგრამაში აღნიშნულია: „ადამიანთა ცხოვრება სულ უფრო ძნელი ხდება, ხოლო უკეთესი მომავლის იმედები თანდათან ქრება“, მართლაც ასე (უიმედოა ჩვენი მომავალი?

— აბა, რაზე ვიმტკიცებთ თავს, თუ მდგომარეობა ასეთი უიმედოა! არ ვიცი აკადემიკოს შატალინის ჯგუფის ოზრს ვინ გაიზიარებს. საქართველოს მომავალს კი ის არ მიესადაგება. ჩვენი ოპტიმიზმის წყარო არ დამშრალა.

მწამს, რომ ჩვენს ხალხში დიდი ფარული ენერგიაა. იგი გაიზრდება საქართველოს სრული ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ, როცა ფართო და ზელსაყრელი ეკონომიკური, კულტურული, მეცნიერული, ტექნიკური და პოლიტიკური კავშირიც გვექნება გარე სამყაროსთან.

მთავარია, მოვახერხოთ ამ ენერგიის მთლიანად ამოქმედება, თითოეულის ჩაბმა დიდი მიზნით წამართულ ნაყოფიერ შემოქმედებით შრომაში.

უნდა შევქმნათ ეკონომიკის სრულიად ახლებური, ორგანიზაციული მოდელი, საკუთარი ეკონომიკური მსოფლმხედველობა, ფილოსოფია მთელი ჩვენი ხალხის ინტერესების გათვალისწინებით, რომელიც თავისუფალი იქნება დოგმატიზმის, ეპიგონობის, გარეგანი გავლენისაგან და ცხოვრების წესის ქართულ, დემოკრატიულ, ზნეობრივ იდეალს შეისისხლხორცებს.

ჩვენი ეროვნული ეკონომიკა უნდა დამყარდეს როგორც ეფექტიანობის შინაგანი კანონების მექანიზმს, ისე საკაცობრიო ღირებულებათა, ადამიანობის კანონების პრიორიტეტსაც, რადგან მხოლოდ ამგვარად შეიძლება იყოს იგი სრულყოფილი მთელი საზოგადოების სასარგებლოდ. უამისოდ ყოველგვარი მატერიალური სიუხვე ნამდვილ ფასს დაკარგავს.

ესაუბრა

ლალი ჟინჟლაძე.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულება

სსრ კავშირის შემნახველი ბანკების დაწესებულებებში დანაზოგების შენახვით მოქალაქეთა დაინტერესების გაზრდის შესახებ

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიერ მოწონებული სახალხო მეურნეობის სტაბილიზაციისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ძირითად მიმართულებათა შესაბამისად და სსრ კავშირის შემნახველი ბანკის დაწესებულებებში დანაზოგების შენახვით მოქალაქეთა დაინტერესების გაზრდის, მოანაბრეთა ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით **ვბრძანებ:**

1. დაცულ იქნეს სსრ კავშირის შემნახველი ბანკის სახელმწიფო სტატუსი და დამტკიცდეს სახელმწიფოს მიერ მოქალაქეთა ანაბრების გარანტია.

2. გაიზარდოს 1990 წლის 1 ნოემბრიდან სსრ კავშირის შემნახველი ბანკის დაწესებულებებში მოსახლეობის სასწრაფო ანაბრების პროცენტული განაკვეთები იმ ვალების შესაბამისად, რომლებითაც ანაბრები იქნება შეტანილი.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკმა და სსრ კავშირის შემნახველმა ბანკმა 1990 წლის 1 ნოემბრიდან შემოიღოს ახალი პროცენტული განაკვეთები საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა დეპოზიტებისა და მათთვის მიცემული კრედიტების მიხედვით.

3. სსრ კავშირის შემნახველმა ბანკმა უზრუნველყოს მოსახლეობის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, განახორციელოს მომსახურების სფეროების გაფართოება, მოქალაქეთა თავისუფალი ფულადი სახსრების მიზიდვის ახალი ფორმების გავრცელების, უნაღდო ანგარიშსწორების განვითარებისა და მოსახლეობის დაკრედიტების პრაქტიკის სრულყოფის ღონისძიებანი.

4. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ და სსრ კავშირის შემნახველმა ბანკმა ახალი პროცენტული პოლიტიკის შესაბამისად შეიტანონ საჭირო ცვლილებანი 1982 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხისა და სსრ კავშირის შემნახველი ბანკის სერთიფიკაციის პირობებში.

5. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკმა 1990 წლის 1 ნოემბრიდან შემოიღოს ახალი პროცენტული განაკვეთები საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა დეპოზიტებისა და მათთვის მიცემული კრედიტების მიხედვით.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტი
მ. გორბაჩოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1990 წლის 25 ოქტომბერი.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროში, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკსა და სსრ კავშირის შემნახველ ბანკში

სსრ კავშირის შემნახველი ბანკების დაწესებულებებში დანაზოგების შენახვით მოქალაქეთა დაინტერესების გაზრდის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულების შესასრულებლად, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი და სსრ კავშირის შემნახველი ბანკი აწესებენ სსრ კავშირის შემნახველ ბანკში მოსახლეობის ვადიანი ანაბრების შემდეგ პროცენტულ განაკვეთებს: 1 წელზე მეტი და 3 წლამდე ვადით — 5 პროცენტი წლიური, 3 წელზე მეტი და 5 წლამდე — 7 პროცენტი, 5 წელზე მეტი — 9 პროცენტი წლიური.

აღნიშნული პროცენტული განაკვეთები გამოიყენება სსრ კავშირის შემნახველი ბანკის დაწესებულებებში შეტანილი ვადიანი ანაბრების მიმართ 1990 წლის 1 ნოემბრიდან.

ვადიანი ანაბრების მფლობელებს, რომლებსაც გახსნილი აქვთ ისინი 1990 წლის 1 ნოემბრამდე, უფლება ეძლევათ გადაადგილონ ეს ანაბრები ვადიან ანაბრებზე ახალი პირობებით, გადაუფორმებელ ანაბრებზე შემოსავალი გაიცემა ამჟამად დაწესებული ოდენობით — 3 პროცენტი წლიური.

ამავე დროს მატულობს პროცენტული განაკვეთები ახალგაზრდულ პრემიულ ანაბრებზე — 5 პროცენტამდე წლიური, მიზნობრივ სამავშვო და დასაგროვებელ ანაბრებზე — 9 პროცენტამდე წლიური.

მოთხოვნამდე ანაბრებსა და ამ ანაბრების ნაირსახობებზე რჩება მოქმედი პროცენტული განაკვეთი — 2 პროცენტი წლიური.

1990 წლის 1 ნოემბრიდან წყდება ანგარიშების გახსნა დღემდე მოქმედი ვადიანი ანაბრების განაკვეთების, აგრეთვე დამატებით-შენატანიანი ვადიანი ანაბრების და სახელშეკრულებო ანაბრების მიხედვით.

მომგებიანი ანაბრები, ფულისა და ნივთების მომგებიანი ანაბრები შეიძლება დარჩეს მოკავშირე რესპუბლიკების შემნახველი ბანკების გადაწყვეტილებით.

1990 წლის 1 ნოემბრიდან სსრ კავშირის შემნახველი ბანკის სერთიფიკატებით დაირიცხება შემოსავალი საშუალოდ 10 პროცენტის ოდენობით სერთიფიკატების მთელი 10-წლიანი ვადისათვის ამჟამინდელი 4 პროცენტის ნაცვლად.

1990 წლის 1 ნოემბრამდე შეძენილი სერთიფიკატებით შემოსავალი გაიცემა ახალი პირობებით 1991 წლის 1 ნოემბრიდან შემნახველი ბანკის სერთიფიკატებით დანაზოგის შენახვის მთელი ვადის განმავლობაში.

1982 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციებზე შემოსავალი 1990 წლის ნოემბრიდან გაიცემა 9 პროცენტის ანგარიშით წლიური 3 პროცენტის ნაცვლად. ახალი პროცენტული განაკვეთის შესაბამისად მოგებათა ტირაჟებში 1990 წლის 15 ნოემბრიდან სესხის ერთ თანრიგზე გათამაშდება 6.870.500 მანეთის 20.000 მოგება, აქედან:

მოგების ოდენობა (მანეთობით)	მოგების რაოდენობა	მოგების თანხა (მანეთობით)
25.000	5	125.000
10.000	10	100.000
5.000	31	160.000
2.500	49	120.000
1.000	20	20.000
500	1900	950.000
300	17.985	5.395.500
	30.000	6.870.500

ᲛᲬᲕᲐᲕᲔ ᲡᲘᲒᲜᲐᲚᲘ

ᲕᲘᲜ ᲒᲐᲩᲔᲮᲐ ᲬᲐᲕᲙᲘᲡᲘᲡ ᲭᲣᲔ?

...ᲘᲮ ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა. აქვე, თბილისთან ახლოს, სოფელ წავკისში შვილივით ნაზარდი ტყე გაჩეხეს და დიდი რუდუნებით მოწყობილი ისტორიული „დედოფლის წყარო“ დაანგრიეს. აღფოთებულმა წავკისელებმა სად არ იჩივლეს, „კომუნისტის“ რედაქციასაც მოშარეს. როგორ იყო სინამდვილეში საქმის ვითარება? დავინტერესდით და წავკისს მივაშურეთ. საკუთარი თვალით ვიხილეთ ყოველივე და დავრწმუნდით, მართალი ყოფილან. მაგრამ ამჯერად მაინც ვარჩიეთ გარდაბნის რაიონის პროკურატურის ცნობას დავეყრდნოთ. იგი სამართლებრივად ასახავს ჩადენილ დანაშაულს.

— შემოწმებით დადგინდა, — ნათქვამია ცნობაში, — რომ 1988 წელს წავკისში, ე. წ. „დედოფლის წყაროს“ მიდამოებში გამოიყო 4 ჰექტარი თითქოს სასოფლო-სამეურნეო ბრუნვისათვის გამოუყენებელი მიწის ფართობი და ჩამოყალიბდა მებაღეობის ამხანაგობა. პროექტით ამხანაგობას გამოეყო წავკისის მიდამოების მეოთხე კვარტალის 4, 4ა და 13 ლიტერები: ფაქტობრივად დაპროექტდა სულ სხვა ადგილი: მე-17 კვარტალის მე-16, 18, 18ა, 20 და 20ა ლიტერები და ათვისებაც დაიწყო. ამრიგად, წყალი იმთავითვე აიმღვრა. ვის არ მიმართეს, სად არ იჩივლეს წავკისელებმა, მაგრამ მათი აღშფოთება ყურად არავინ იღო.

მებაღეობის ამხანაგობის მოწყობამ მოითხოვა მიტაცებული ტერიტორიის საავტომობილო გზებით დაქსელვა, 40-50 წლის წინათ ხელოვნურად გაშენებული წიწვოვანი და ფოთლოვანი მცენარეების გაჩეხვა, რამაც წაახდინა ძვირფასი ტყის კოროვები. სასმელი წყლის სათავე ნაგებობების დაზიანების შედეგად კი შემცირდა სასმელი წყლის დებიტი და განსა

ზოგი მტკივნეული საკითხის შესახებ

ეს წერილი გასულ წელს დაიწერა, მაგრამ მაშინ ვერ გამოქვეყნდა სხვადასხვა მიზეზის გამო. მართალია, დაბეჭდვა დაგვიანდა, მაგრამ, ვფიქრობთ, წერილის შინაარსს ყველი არ გასვლია, რამეთუ მასში ახალი მასალის მოშველიებით საკირბოროტო საკითხებზეა საუბარი, რომლებიც ჩვენი ხალხის ისტორიული წარსულის ღირსეულ უკვალვყოფას და თანამედროვე საგარეო სამეცნიერო-კულტურულ ურთიერთობებს შეეხება.

ჯერჯვანი ყურადღება შინ თუ გარეთ არსებულ ქართულ საისტორიო ძეგლებს

ცნობილია, რომ ადრე წარსულში ქართველ კაცს ხმალი უნდა გადაედო, კალმი რომ აეღო ხელში, ან პირიქით. ბასრი ხმალიცა და მჭრელი კალამიც მაშინ ერთსა და იმავე ძირითად მიზანს — მრავალტანჯული ქართველი ერის „გამოხსნა-აღდგომას“ ემსახურებოდა და საკმაოდ ეფექტიანადაც. გამოხდა ხანი, და ინტელექტუალურ სფეროში დასაქმებულ ქართველ მამულიშვილს მეტი პირობა შეექმნა თავისი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ მოღვაწეობისა და შრომანდილადმოსილი სამშობლოს ისტორიული წარსულის წარმოჩენისა. ბევრი რამ სასიკეთო კეთდება ამ მხრივ თანამედროვე საქართველოში, მაგრამ, სამწუხაროდ, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ფასდაუდებელი საქმიანობის მეტად პასუხსაგებ უბანზე, კერძოდ, საქართველოს ფარგლებს გარეთ ეროვნული ისტორიის უკვდავყოფის პრობლემებს რომ უკავშირდება, ყოველთვის შედეგიანი და უხარვეზო ვითარება ორდი გვაქვს. შევეხები ამ ფასლსზრისით მტკივნეულ რამდენიმე საკითხს ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოების გათვალისწინებით: ჩვენდა სასიხარულოდ სადღეისოდ სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ახლო მომავალში ჩვენს თანამემამულეებს მასობრივად მიეცემათ შესაძლებლობა უშუალოდ ეზიარონ საქართველოს ფარგლებს გარეთ დაცულ ქართულ საისტორიო მასალასა და ძეგლებს, სხვადასხვა ქვეყნებთან საქართველოს ისტორიული ურთიერთობის ამსახველ საბუთებსა თუ რელიქვიებს.

ამას წინათ სამეცნიერო მივლინებით შვედეთში, იტალიასა და ჰოლანდიაში მომიხდა მუშაობა, სადაც საინტერესო საბუთები გამოვავლინე. ამ ქვეყნებთან საქართველოს ისტორიული ურთიერთობის შესახებ.

გამოვლენილი მასალიდან აღსანიშნავია იტალიის არქივებში მოკვლეული XVII საუკუნის 30-50-იან წლებში საქართველოში მოღვაწე იტალიელ მისიონერთა რელაციები, ნიკიფორე ირბახის კარდინალ ბარბარენისადმი 1636 წელს იერუსალიმიდან რომში გაგზავნილი წერილის (ბერძნული ენაზე) ავტოგრაფი, პირველნაბეჭდი ქართულ-იტალიური ლექსიკონის დედანი; სტოკჰოლმის სახელმწიფო არქივში აღმოჩნდა საინტერესო შინაარსის შემცველი რუსეთის სამეფო კარზე მოღვაწე შვედეთის რეზიდენტის ჯ. კოხის 1670-1690-იანი წლების რელაციები, ცნობილი შვედი მეცნიერის ი. გ. სპარგენფელდის მიმოწერა გ. ვ. ლაიბნიცთან, ი. ბლაუსთან და სხვებთან, სადაც საინტერესო ცნობები დაცული არსებულ II და მისი მემკვიდრის ალექსანდრე ბატონიშვილის შესახებ. ჰოლანდიის არქივსაცავებში გამოვლენილია, კერძოდ, XVII ს. ბოლო მეოთხედისა და XVIII ს. დამდეგის რუსეთში ნიდერლანდების რეზიდენტების ი. ვ. კელერისა და ვანდერ ხულსტის რელაციები, ნ. ვიტსენისა და გ. კუპერის მიმოწერის ნიმუშები, რომლებშიც არჩილ მეფის შესახებ ასევე საინტერესო ცნობებია შემონახული, გარდა ამისა, მოძიებულია ქართული კულტურისა და მეცნიერების ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი ორი არქივი — ცნობილი იტალიელი მოგზაურის პიეტრო დელა ვალეს საგვარეულო არქივი და ცნობილი ქართველი ისტორიკოსის მიხეილ თარხნიშვილის პირადი არქივი, სადაც, სხვათა შორის, დაცულია სრული ნუსხა მის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომებისა.

საფუძვლიანი დოკუმენტური მასალის მოძიებასთან ერთად, კერძოდ, სტოკჰოლმსა და ლონდონში, დავადგინე ადგილმდებარეობა შენობებისა, სადაც 1701-1710 წლებში ცხოვრობდა შვედების მიერ სხვა რუს სამხედროდ მოღვაწეებთან ერთად ტყვედქმნილი ალექსანდრე ბატონიშვილი (არჩილის ძე), რომელიც, როგორც ცნობილია, პეტრე I ახლო მეგობარი და რუსეთის პირველი გენერალ-ფელდეიხმაისტერი იყო. შვედ კოლეგებთან ბჭობისა და მათი აქტიური მხარდაჭერის შედეგად გადაწყდა, რომ სტოკჰოლმში არსებულ შენობაზე, რომელიც ალექსანდრე ბატონიშვილის ხსოვნას უკავშირდება, უნდა დაიკიდოს სათანადო შინაარსის მემორიალური დფა ქართული და შვედურენოვანი ტექსტითურთ, რაზეც ამჟამად მიღებულია სტოკჰოლმის, სათანადო დაწესებულებების დასტური. ასევე დადებითად გადაწყდა საკითხი ალექსანდრე ბატონიშვილის ხსოვნის უკვდავსაყოფად მემორიალური დფის დაკიდებისა ჰოლანდიის ქალაქ ზაანდამში არსებულ პეტრე I სახლ-მუზეუმის შენობაზე, სადაც ალექსანდრე არჩილის ძე პეტრე I-თან ერთად ცხოვრობდა 1697 წლის ზაფხულში.

ეს პირველი შემთხვევა როდი იქნება მსგავსი ღონისძიების ჩატარებისა. 1987 წლის 21 ნოემბერს თბილისთან დაძმობილებულ ქალაქ პალერმოს ერთ-ერთ სენტრალურ ქუჩაზე, უნივერსიტეტის შენობაზე, რომელიც ადრე თეატინელ ბერთა რეზიდენცია იყო, დაიკიდა დიდი ფორმატის მემორიალური დფა ქართული და იტალიურენოვანი ტექსტებით. ქართული ტექსტი, სამწუხაროდ, ერთობ ბუნდოვანი და გაუმართავია, თუმცა მასში მოცემულია ცდა XVII საუკუნის ცნობილ პალერმოელ ღვთისმსახურთა — თეატინელ მისიონერთა ქრისტეფორე კასტელის და ფრანჩესკო მარია მაჟოს საქართველოს წინაშე დამსახურების ხაზგასმისა. დფაზე წარმოდგენილი ერთფრაზიანი ქართული ტექსტის არა მხოლოდ სტილისტურ, არამედ აზრობრივ დაუხვეწაობაზე თვალნათლივ მეტყველებს მისი შინაარსი: „თეთინელთა ხსოვნის უკვდავსაყოფად ფრანჩესკო მარია მაჟოსა და ქრისტეფორე კასტელის მეგობრული და კულტურული მისიის XVII საუკუნეში სიცილიიდან საქართველოში წარმოგზავნილთ პალერმოს მუნიციპალიტეტი და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭო, 21.XI.1987 წელი, პოზერო“.

აი ეს, რბილად რომ ვთქვათ, ლაფსუსიანი, თითქმის უწიგნური ქართული ტექსტი პალერმოს ხალხმრავალ ქუჩაზეა გამოფენილი. კუთხეში ის გახლავთ, რომ სიტყვა „პოზეროს“ მნიშვნელობას, რომელიც იტალიური შესატყვისი ტექსტის დამაგვირგვინებელია და „დაკიდებას“ ნიშნავს, ქართულად მთარგმნელი ვერ ჩასწვდომია და ქართული ტექსტის ბოლოს (იტალიურის მსგავსად) ყოველი შემთხვევისათვის მოუხსენებია როგორც... ტომონიმი(!).

მემორიალური დფის ქართული ტექსტის გაუმართაობის ახსნა (მით უფრო გამართლება) იმით, რომ იგი იტალიურიდან არის თარგმნილი (თუმცა სიტყვა „წარმოგზავნილი“ აქ გაუგებრად ყღერს და თითქოს ქართული ტექსტის თავისთავადობის პრეტენზიაზე მიგვანიშნებს), გამორიცხულია. მაგრამ თარგმანსაც გააჩნია. ვფიქრობ, მემორიალური დფის იტალიური ტექსტის აზრობრივად უფრო შესატყვისი ქართული თარგმანია: „თეატინელ ღვთისმსახურთა ფრანჩესკო-მარია მაჟოსა და ქრისტეფორე კასტელის — XVII საუკუნეში მეგობრული კულტურული მისიით სიცილიიდან საქართველოში წარგზავნილთა — ხსოვნის უკვდავსაყოფად. პალერმოს მუნიციპალიტეტი და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭო 21.XI.1987 წ.“.

სამწუხაროდ, ერთადერთი მართებული დასკვნა, რომელიც ზემოთ აღწერილი გულდასაწყვეტი ფაქტიდან გამოდინარეობს, ის არის, რომ პალერმოში მემორიალური დფის ქართული ტექსტის გამოქვეყნებისას ამ პასუხსაგები საქმის ქართველ მონაწილეებს არ დაუცავთ აუცილებელი პირობა თბილისის სათანადო სამეცნიერო დაწესებულებებში მისი წინასწარი აპრობაციისა, რაც სრულიად შეუწყნარებელია.

ამ აუცილებელი პირობის დარღვევამ, სამწუხაროდ, მეორე, არანაკლებ დასანანი, შეცდომა დაგვაშვებინა. მხედველობაში მაქვს 1982 წელს რომის სენტრში, ვენეციის მოედანთან ახლო მდებარე სალიტა დელ გრილოს ქუჩაზე განლაგებულ შენობაზე (№ 17) მემორიალური დფის დაკიდება, რომლის ორენოვან (ქართულ და იტალიურ) ტექსტში დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა. ამ მემორიალური დფის დაკიდება, როგორც ცნობილია, დაუკავშირდა 1629 წელს რომში პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნების გამოქვეყნების ფაქტს.

ქართული კულტურის ისტორიაში ამ ღირსსახსოვარი მოვლენის აღსანიშნავად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ დროულად იზრუნა: საიუბილეო 1979 წლისათვის მისი თაოსნობით რომში ახალმოძიებული დოკუმენტური მასალის სამეცნიერო მიმოქცევაში შემოსვლის შედეგად ქართველმა საზოგადოებრიობამ ღირსეულად აღნიშნა პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნების 350-ე წლისთავი. მაშინვე მიზანშეუწონლად ჩაითვალა რომის ზემოთ მითითებულ შენობაზე სათანადო მემორიალური დფის დაკიდება, რაც მოტივირებული იყო იმით, რომ ამავე შენობაში, გარდა პირველნაბეჭდი ქართული წიგნებისა, დღის სინათლე იხილა პირველმა ნაბეჭდმა წიგნებმა სხვადასხვა ენაზე (არაბულზე, ეთიოპიურზე და სხვ.). მაგრამ 1982 წელს მემორიალური დფა ამ შენობაზე მაინც დაიკიდა იდენტური შინაარსის ქართულ-იტალიური ტექსტითურთ, რომელიც, სამწუხაროდ, უზუსტო აღმოჩნდა. ტექსტი შეიცავს მცდარ მტკიცებას იმის თაობაზე, რომ ამ შენობაში დაისტამბა არა მხოლოდ პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები, არამედ თითქოს ქართული წიგნიერსიტეტის გრიფით. 1989 წლის 5 დეკემბრით დათარიღებულ ამ წერილის ქართულ ტექსტს, რომელსაც ხელს აწერს ცენტრის სწავლული მდივანი დოქტორი ვიმ ლუკასენი, ქვემოთ სრულად ვაქვეყნებთ (დედნისეული სტილი დაცულია):

„ჰოლანდიაში ქართული სამეცნიერო-კულტურული ცენტრის დამფუძნებელმა ჯგუფმა 1989 წ. 28 ნოემბრის სხდომაზე გამოთქვა აღელვება შექმნილი მდგომარეობით, ქართველთა და მცირე ნაციონალური ერების — ლეკების, მესხების, ოსების და, კერძოდ, აფხაზების მიმართ. შეუმოწმებელი ცნობების საფუძველზე იქმნება შთაბეჭდილება, რომ ნაციონალურ ერებს შორის მდგომარეობის განვითარების მხარს უჭერს პრესა, რადიო, ტელევიზია, ასევე უნივერსიტეტიც.

საინიციატივო ჯგუფი გთხოვთ თითოეულ ადრესატს გამოთქვას პირადი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით. ჯგუფის აზრით, ამგვარი ფაქტები უნდა ჩაითვალოს სამწუხაროდ, განსაკუთრებით ახლა, როცა აღმოსავლეთ ევროპის და საბჭოთა ხალხს უმრავლესობა, მათ შორის ქართველი ხალხიც, იწყებს მოპოვებას თავისუფლებისა, რომელსაც ჩვენ მთელი გულით ვუსურვებთ.

აქედან გამომდინარე სხდომამ გადაწყვიტა გააფაროთოოს ქართული სამეცნიერო-კულტურული ცენტრის მოქმედების და ინტერესების სფერო: „უკლებლივ ან უპირატესობით საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა ერების ენის, ლიტერატურის, კულტურის და ისტორიის შესწავლით“ გვსურს შევიტყოთ თქვენი რეაქცია ამ საკითხთან დაკავშირებით.

მივიღეთ გადაწყვეტილება შევწყვიტოთ შემდგომი მოქმედება თქვენგან პასუხის მიღებამდე“.

ასეთი, რბილად რომ ვთქვათ, უცნაური შინაარსის წერილი მივიღეთ ჰოლანდიაში არსებული ქართული სამეცნიერო-კულტურული ცენტრიდან. თავდაპირველად ვერც კი გავერკვიეთ იმაში, თუ საკუთრივ „ქართულ“ მოვლენას არ წარმოადგენს.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ სადღეისო ეროვნებათშორისი კონფლიქტები — მხოლოდ დროებითი, გარდამავალი სიძნელეებია თავისუფალი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოს გზაზე. ამაში გვარწმუნებს არა მხოლოდ საქართველოს ავტონომიურ რეგიონებში ვითარების სტაბილიზება, არამედ ჩვენს უძველეს მიწა-წყალზე მცხოვრებ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებთან ქართველთა ურთიერთობის მთელი ისტორია. განა ძველ თბილისში მართლმადიდებლური და სომხური ეკლესიები არ მეზობლობენ კათოლიკურ ტაძართან, ანდა სინაგოგა — მეჩეთთან? განა საქართველოში 26 საუკუნის განმავლობაში არ ცხოვრობენ ებრაელები, რომლებიც არა მხოლოდ არსებოდნენ გამხდარან დარბევა-შევიწროების ობიექტი, არამედ ქართველი ხალხის მიმართ ყოველად გულწრფელი მეგობრული გრძნობით არიან გამსჭვალული.

ცხადია, ჩვენ ანგარიშს ვუწევთ იმ გარემოებას, რომ ცალკეულ პირთა დაუფიქრებელი მოქმედება და ასეთივე გამონათქვამები, როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან ზოგჯერ ექსტრემისტული ხასიათისაა. მაგრამ ეს არ იძლევა საფუძველს იმის დასაშვებად, რომ მათი აზრი ჩვენსას ემთხვევოდეს ან საქართველოს ოფიციალურ დაწესებულებათა, კერძოდ, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პოზიციას გამოხატავდეს. ამასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ჩვენ არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო იმისა, რომ ჰოლანდიაში ქართული სამეცნიერო-კულტურული ცენტრის წესდება შევსებულ იქნას თქვენს მიერ შემოთავაზებული წინადადების შესაბამისად, ოღონდ ბოლომდე ვერ გავრკვეულვართ იმაში, თუ რა იგულისხმება ცნებაში „ხალხები, რომლებიც განსაკუთრებით ან უპირატესად ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე“. ზემოთ მითითებულ ეროვნულ უმცირესობათა გარდა საქართველოში ხომ ცხოვრობენ აგრეთვე რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, უკრაინელები, ბერძნები და ზოგიერთი სხვა ეროვნების წარმომადგენლები, რომლებთანაც ქართველები საუკუნეთა მანძილზე კეთილგანწყობით ცხოვრობენ, რაც, ვფიქრობთ, ზედმეტად ადასტურებს იმას, რომ ქართულ ეროვნულ ხასიათს ძველთაგანვე მოსდგამს მეგობრული სულისკვეთება და ტოლერანტობა.

დასასრულ, გვსურს შევნიშნოთ, რომ „შეუმოწმებელი ცნობები“, რომლებსაც თქვენს წერილში იმოწმებთ, ინფორმაციის არსებობამედო წყაროა. თქვენი წარმოდგენა იმის შესახებ, რომ საქართველოში ეროვნებათშორის ურთიერთობათა გამძაფრებას ხელს უწყობს მასობრივი ინფორმაციის იდგილობრივი საშუალებები და თბილისის უნივერსიტეტიც, უდავოდ, ცალმხრივ ინფორმაციას ემყარება, რომელიც, როგორც ჩანს, დაინტერესებული წყაროებიდან მომდინარეობს. თუ ახლახან დაფუძნებულ ქართულ სამეცნიერო-კულტურულ ცენტრს ჰოლანდიაში არა მხოლოდ ქაოალდზე, არამედ სინამდვილეში უწერია არსებობა, მისი ერთ-ერთი ფუნქცია, როგორც გვეჩვენება, სწორედ იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ მას ყოველთვის ხელთ ჰქონდეს ახალი და შემოწმებული ინფორმაცია საქართველოში არსებული ვითარების შესახებ, რომელიც საიმედო წყარო იქნებოდა ამ ინფორმაციით დაინტერესებული ჰოლანდიის ნებისმიერი მოქალაქისათვის.

პატივისცემით
ალბერტ თავხელიძე,
აკადემიკოსი;
ნოდარ ამაღლობელი,
აკადემიკოსი;
თენგიზ ბუაჩიძე,
პროფესორი;
ჯუანშერ ვათეიშვილი,
პროფესორი“.

ზემოთ ციტირებულმა საპასუხო წერილმა, რომელიც ჰოლანდიაში ქართული სამეცნიერო-კულტურული ცენტრის ამა წლის ივნისის სხდომაზე საგანგებოდ განიხილეს, კეთილი გამოხმაურება ჰპოვა. ამ სტრიქონების ავტორი მიწვეული იყო სხდომაში მონაწილეობის მისაღებად, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება განაახლოს ცენტრის პრაქტიკული საქმიანობა. ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად დაისახა კავშირურთიერთობის გაყარება იუნესკოსთან არსებულ ევროპის კულტურული ფონდის გამგეობასთან. მაშინვე (ა. წ. ივნისში) ამსტერდამში შედგა შეხვედრა ამ ფონდის გენერალურ დირექტორთან ბატონ რიიმონ ჟორისთან, რომელიც მიესალმა ჰოლანდიაში ქართული სამეცნიერო-კულტურული ცენტრის დაფუძნებას და განაცხადა, რომ ევროპის კულტურული ფონდი მიმდინარე წლის ბოლომდე გადაწყვეტილებას მიიღებს ამ ცენტრისათვის ერთდროული მატერიალური დახმარების აღმოჩენის თაობაზე.

მოსკოვსა და მის შემოგარენში არსებული ზოგიერთი ქართული რელიქვია და მისი პრობლემები

რაკი წინამდებარე წერილის შინაარსი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიასაც შეეხო, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მკითხველს რამდენიმე მოსაზრება გავუზიარო ამ ისტორიის ცალკეულ ძეგლთა უკეთ მოვლა-პატრონობის შესახებ. მოსკოვში არსებული ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის პატარა მუზეუმი ბოლშაია გრუზინსკაიას ქუჩაზე, რომლის ოფიციალური დაფუძნება გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავ ღონისძიებებს დაუკავშირდა, მალე თავისი არსებობის ათწლეულს აღნიშნავს. ამ ხნის განმავლობაში ცოტა რამ როდი გაკეთდა რუსეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის მეცნიერული შესწავლისა და მუზეუმის ექსპოზიციაში მისი სათანადოდ წარმოჩენისათვის. მაგრამ ბევრად უფრო მეტია ამ მხრივ დაგეგმილ-განსახორციელებელი. არაერთი კეთილი ჩანაფიქრის სარეალიზაციოდ უკვე გადაიდგა რამდენიმე პრაქტიკული ნაბიჯი, რაც მოსკოვის სათანადო დაწესებულებათა მხარდაჭერით დედაქალაქის ცენტრალურ ნაწილში მდებარე „ქართული დასახლების“ სახელწოდებით ცნობილი ისტორიული უბნის მემორიალურ ნაკრძალად გამოცხადებას ითვალისწინებს.

უპირველეს ყოვლისა, მკითხველთ მინდა ვაუწყო, რომ რუსეთის ფედერაციის მთავრობის საგანგებო გადაწყვეტილებით (იხ. რსფსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 16 ივნისის განკარგულება № 753-დ) ნებადართულია ბოლშაია გრუზინსკაიას ქუჩაზე არსებული შოთა რუსთაველის ერთობ მინიატურული მოცულობის მოძველებული ძეგლის რეკონსტრუქცია. იგულისხმება დღი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის არსებითად ახალი ძეგლის შექმნა მოსკოვში, რასაც შემოქმედებით შემართებით მოჰკიდა ხელი ჩვენმა გამოჩენილმა მოქანდაკემ მერაბ ბერძენიშვილმა. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა შესანიშნავად გააზრებული ნიმუში მომავალი ქანდაკებისა ხელოვანმა უკვე დიდი ხნის წინ დაამზადა, მისი ჩამოსხმა ძალზე გაჭიანურდა და დღემდე მოსკოვში ამ ეროვნული მნიშვნელობის საქმის განხორციელებას ნათელი არ დაედგა.

შემდეგი პრობლემა საარსებო მნიშვნელობისაა ჩვენი მუზეუმისათვის: ბოლშაია გრუზინსკაიას ქუჩაზე № 15-17-ში მდებარე ორ შენობაში სადღეისოდ განლაგებული გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩო მომავალი წლის ბოლოსათვის მოსფილმის ქუჩაზე მისთვის საგანგებოდ აგებულ კომპლექსში გადაინაცვლებს, ხოლო ერთ-ერთი გამორთავისუფლებული შენობა (№ 17), რომელიც 1729 წლიდან ჯერ ვახტანგ VI რეზიდენცია იყო, ხოლო მისი გარდაცვალების (1737 წ.) შემდეგ მის მემკვიდრეებს დარჩათ, ჩვენს მუზეუმს განზრახული აქვს დიამკვიდროს როგორც თავისი ძირითადი შენობა, სადაც განლაგდება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის (X საუკუნედან დღემდე) ამსახველი ახალი ექსპოზიცია. მაშინ ახლანდელ სახლ-მემორიალს ახალი ფუნქცია დაეკისრება: ქართული და რუსული წარმომავლობის მრავალფეროვანი ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე წარმოაჩინოს ახალი ექსპოზიცია თემაზე „ქართველთა საცხოვრისი XVIII საუკუნის მოსკოვში“.

ამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად ვიდრე რაიმე პრაქტიკულ ნაბიჯს გადავდგამდით მისი მიზანშეწონილობის განსასჯელად ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობას მივმართეთ და მისი მხარდაჭერა მივიღეთ. ამის შემდეგ სათანადო დასაბუთების შემცველი არზა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისაგან საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვაეგზავნა. საპასუხო წერილი 1988 წლის 2 მარტით იყო დათარიღებული და მას საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბორის ჩაპლინი აწერდა ხელს. მასში ნათქვამია:

„1989 წელს მოსკოვში გფრ საელჩოს კუთვნილ შენობათა შენგბლობის დასრულებასთან დაკავშირებით, საელჩოს მფლობელობაში ამჟამად არსებული შენობა ბოლშაია გრუზინსკაიას ქ. № 17 უნდა განთავისუფლდეს, როგორც ეს გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირსა და გფრ-ს სამთავრობათშორისი შეთანხმებით. ითვალისწინებს რა მოსკოვში არსებულ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის მუზეუმის საქმიანობისათვის სათანადო პირობების შექმნის საჭიროებას, ამ დაწესებულების რუსეთ-საქართველოს ისტორიულ, პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობათა ისტორიის შესწავლის სამეცნიერო ცენტრად გადაქცევის, საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის მეგობრობის პროპაგანდის, განვითარებისა და განმტკიცების მეტად მნიშვნელოვან ამოცანებს, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შესაძლებლად მიაჩნია ზემოთ მითითებული შენობა ამ სამინისტროს დიპლომატიური კორპუსის მომსახურების სამმართველოს ბალანსიდან გადასცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოში მუდმივი წარმომადგენლობის ბალანსზე, როგორც ძეგლი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისა. ოღონდ იმ პირობით, რომ მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ზემოხსენებულ სამმართველოს გამოუყოს შესატყვისი დამოუკიდებელი შენობა მასში რომელიმე საზღვარგარეთული საელჩოს განსალაგებლად“.

ამ იმედის მომცემი საპასუხო წერილის მიღებამდე ჩვენმა მუზეუმმა იშუამდგომლა აგრეთვე იმის თაობაზე, რომ აღდგენილიყო ბოლშაია გრუზინსკაიას ქუჩის გადაკვეთაზე ადრე არსებული მოედნის (რომელიც მოიცავდა დღევანდელი ტიმინსკაიას მოედნის ნაწილსაც) ძველი სახელწოდება „გეორგიევსკაია“, მით უმეტეს, რომ ეს სახელწოდება ადრე თუ მხოლოდ იქვე არსებულ წმ. გიორგის ეკლესიას უკავშირდებოდა, სადღესოდ იგი აზრობრივად, ჩრდილოეთ კავკასიაში არსებულ ქალაქ გეორგიევსკსაც დაუკავშირდა, სადაც ცნობილ ტრაქტატს მოაწერეს ხელი. ამ შუამდგომლობას, რომელიც „მოსმთავარ არქიტექტორის“ სამმართველოს უფროსის, მოსკოვის მთავარი არქიტექტორის ლეონიდე ვავაკინის სახელზე ჩეშ მიერ გაგზავნილ წერილშია ჩამოყალიბებული, ადრესატი დადებითად გამოეხმაურა. რამდენიმე შინაარსიანი პირადი საუბრის შემდეგ ლ. ვავაკინისაგან ოფიციალური პასუხიც მივიღე, სადაც ნათქვამია: „თქვენი წერილი დაინტერესებით განვიხილეთ და თქვენს წინადადებებს მხარს ვუჭერთ. ჭეშმარიტად, ქართული ქუჩები (მოსკოვში) ისტორიული ადგილი და ერთგვარი სიმბოლოა რუსი და ქართველი ხალხების 300-წლოვანი მეგობრობისა ცნობილი ისტორიკოსის ბ. სიტინის მოწმობით, 1725 წ. მოსკოვში ჩასულ ქართველ მეფეს ვახტანგს შვილებითურთ — ბაქარითა და გიორგით 1729 წელს ებოძა სოფელი ვოსკრესენსკოე. წარმოიქმნა ქართული „სლობოდა“. 1788-1800 წლებში ბატონიშვილმა გიორგიმ აქ ააშენა წმ. გიორგის ეკლესია. მაღე გაჩნდა გიორგის მოედანიც, რომელსაც შემდგომ ქართული მოედანი ერქვა... როგორც ჩანს, აუცილებელია დაისვას საკითხი სწორედ ამ მოედნის ისტორიული სახელწოდების აღდგენის შესახებ, რომელიც უცნობ მიზეზთა გამო ბოლო წლებში სახელწოდების გარეშეა დატოვებული. მიზანშეწონილად მიგვაჩნია აგრეთვე მოსკოვში, ქართველთა ისტორიული დასახლების ზონაში, საქართველოს სს რესპუბლიკური ცენტრის შესაქმნელად ქართველ ხუროთმოძღვართა შორის მოეწყოს არქიტექტურული კონკურსი. სასურველია, რომ კონკურსის პროგრამა შემზადდეს თქვენი მუზეუმის, საქართველოს სსრ მუდმივი წარმომადგენლობისა და მთავარ მოსარქიტექტურის გენერალური გეგმის ინსტიტუტის მონაწილეობით, რომელსაც მიეცა სათანადო მითითებანი“.

ზემოთ ციტირებული ლ. ვავაკინის საპასუხო წერილის შინაარსი საკითხისადმი ობიექტურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს, და მასში, როგორც ჩანს, შემთხვევით არ არის გაკეთებული აქცენტი იმაზე, რომ საქართველოს რესპუბლიკური ცენტრი მოსკოვში სწორედ აქ, ბოლშაია გრუზინსკაიას ქუჩაზე უმდა დაფუძნდეს, „ქართველთა ისტორიული დასახლების ზონაში“ და არა სადმე სხვაგან, თუნდაც რესტავრირებულ ძველ არბატზე, რომელიც შესატყვისი შინაარსის რუსულ ეროვნულ ნაკრძალს წარმოადგენს და გამონაკლისი შემთხვევაც კი იქ არსებული ერთ-ერთი შენობის (№ 42), თუ შეიძლება ასე ითქვას, არა დანიშნულებისამებრ გამოყენებისა, როგორც ჩანს, ერთგვარ გაღიზიანებასაც იწვევს (იხ. ამაზე გაზ. „მოსკოვსკაია პრავდა“ 1988 წ. 3 აგვისტო, „მოსკოვსკი კომსომოლეცი“, 4 იანვარი 1989 წ. და სხვ.).

სხვათა შორის, ლ. ვავაკინის საპასუხო წერილი იმ მხრივაც არის ანგარიშგასაწევი, რომ მოსკოვის საქალაქო საბჭოს ხელმძღვანელობამ, რომელსაც დაევალა გაერკვია ბ. ჩაპლინის ზემოთ ციტირებულ წერილში ხაზგასმული პირობის შესრულების შესაძლებლობა იმის თაობაზე, რომ საელჩოსაგან გამონთავისუფლებული შენობა ჩვენს მუზეუმს გადმოეცეს (მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მხრივ სათანადო კომპეტენციის შემთხვევაში), ჩვენს რესპუბლიკას თავის მხრივ წამოუყენა პირობა: საელჩოს მიერ გამონთავისუფლებული შენობა მოსკოვში არსებულ ქართულ მუზეუმს შეუძლია დაიმკვიდროს იმ შემთხვევაში, თუ რესპუბლიკა ივალდებულებს შესატყვისი ფართობის (3000 კვ. მ.), შენობის აგებას მოსკოვში საგარეო საქმეთა სამინისტროს ზემოთ მითითებული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

ასეთ ვითარებაში ხომ არ იქნებოდა უპრიანი დასმულიყო ძველ არბატზე უკვე დაფუძნებული ქართული კულტურული ცენტრის „მზიურის“ პროფილის შეცვლის საკითხი, რათა იგი საქართველოს და რუსეთის ფედერაციის მხატვართა (ან დიზაინერთა) კავშირების საგამოფენო ცენტრად გამოცხადებულიყო იმ მიზნით, რომ ბოლშაია გრუზინსკაიას ქუჩაზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოსაგან გამონთავისუფლებული ორივე შენობა — ერთსართულიანი მეზონინითი (№ 17), რომელიც ადრე ვახტანგ VI-ს ეკუთვნოდა და სადაც ახლა საელჩოს კანცელარიაა მოთავსებული, და მის გვერდით მდებარე ოთხსართულიანი (№ 15), რომელიც დღესდღეობით საელჩოს ძირითად განყოფილებებს უკავიათ, — გადაეცეს ჩვენს რესპუბლიკას. ამ ორ შენობაში შესაბამისად განლაგდებოდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსეთში ქართულ დასახლებათა ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი მუზეუმი და ქართული კულტურის ცენტრი თავისი საგამოფენო დარბაზებითურთ და სხვა სათავსოთი.

ამდენად, შემოთავაზებული წინადადების განხორციელება როგორც ჩვენი მუზეუმისათვის, ისე, ვფიქრობ, ზოგადად, ჩვენი ხალხისათვის არ იქნებოდა შენობათა უბრალო გაცვლა-გადაადგილება, არამედ ღრმა სიმბოლური შინაარსით აღსავსე ღონისძიება, რომელიც ჭეშმარიტად შეუწყობდა ხელს მოსკოვში ადრე არსებული ქართული კოლონიის ძირითადი დგილსამყოფელის მემორიალურ ნაკრძალად გადაქცევას.

არანაკლებ მტკივნეულია საკითხი ქართულ სიძველეთა შესახებ მოსკოვის შემოგარენში, რომელიც, კერძოდ, კალუგის გზატკეცილის 45-ე კილომეტრზე მდებარე სოფელ კრასნოეში ქართული წარმომავლობის სასახლესა და ეკლესიას უკავშირდება. როგორც გაზეთ „კომუნისტის“ გასული წლის 3 მარტის ნომერში გამოქვეყნებულ ჩემს წერილში ვაუწყე ქართველ საზოგადოებას, მეფე არჩილ II საკმაოდ ფესვგადგმული შთამომავლობა დგავეტოვა მუხრანბატონთა და დადიანების საგვარეულოთა ქორწინების გზით დამყნობის შედეგად. მზედველობაში მაქვს არჩილის შვილიშვილის სოფიო ალექსანდრეს ასულისა და გიორგი ლევანის ძე დადიანის შეუღლება და მათი შთამომავლები, რომელნიც თითქმის საუკუნენახევრის მანძილზე ფლობდნენ ზემოთ აღნიშნულ მათ მიერ აგებულ და კურთხეულ სასახლესა და ეკლესიას მიმდებარე ტერიტორიის ანუ საკმაოდ მრავალრიცხოვანი მოსახლეობის მქონე სოფელ კრასნოეს ჩათვლით.

ამას წინათ, მოსკოვში არსებულ ჩვენს მუზეუმს საგანგებოდ მოიკითხა სოფელ კრასნოეს მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენლებმა, რომლებმაც დასვეს საკითხი სასახლის შენობისა და ეკლესიის შესაბამისად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემისათვის და ქართული საპატრიარქოსათვის გადაცემის თაობაზე იმ მიზნით, რომ ჩვენი მუზეუმის დახმარებით სასახლის რესტავრირებულ შენობაში მოეწყოს სამხარეთმცოდნეო შინაარსის გამოფენა, ხოლო შესაბამისი ნაგებობა სოფელ კრასნოეში არსებული ქართული ეკლესიისა აღდგენილ იქნას მო

ᲣᲙᲣᲩᲘᲡᲘᲗᲘᲗ

ᲡᲐᲙᲚᲔᲡᲘ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲐ
29 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲗᲘ

ᲙᲕᲘᲠᲐᲡ საღამოს პარიზში ჩამოსვლისთანავე დაიწყო მ. ს. გორბაჩოვის მოლაპარაკება ფ. მიტერანთან. ორივე პრეზიდენტმა აღნიშნა შეხვედრის განსაკუთრებული მნიშვნელობა: იგი ეწყობა სრულიად ევროპული უმაღლესი დონის თათბირის წინ, სპარსეთის უურეში დრამატული კრიზისის ჟამს, როდესაც მსოფლიო პოლიტიკის შემდგომი მსვლელობა ნათელ და ღრმად გაანრეულ პოზიციას მოითხოვს.

იმავე საღამოს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის დოკუმენტებს, რომლებიც ორმხრივი თანამშრომლობის გაფართოებას ეხება. მათ შორისაა ეკონომიკური, სამრეწველო, სამეცნიერო და ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამა, თანხმობის ოქმი საბჭოთა და საფრანგეთის საწარმოების თანამშრომლობის შესახებ, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის და სამეცნიერო კვლევის საფრანგეთის ეროვნული ცენტრის თანამშრომლობის შეთანხმება, სხვა დოკუმენტები. საერთო აღიარებით, ხელმოწერილი პაკეტი ახალი ნაბიჯია ორი ქვეყნის ურთიერთხელსაყრელი ურთიერთობებისა და ტრადიციული კავშირის გაღრმავების მიმართულებით.

ᲡᲐᲠᲝᲢᲔᲡᲢᲝ ᲛᲐᲠᲗᲘ ᲰᲝᲜᲙᲝᲜᲒᲨᲘ

ᲢᲝᲙᲘᲝ. დაახლოებით 18 ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა ჰონკონგში გამართულ საპროტესტო მარშში, რომელიც იაპონის მიერ აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში სენკაკუს არქიპელაგზე პრეტენზიების წინააღმდეგ იყო მიმართული.

ეს დაუსახლებელი კუნძულები ხანგრძლივი ტერიტორიული დავის საგანია იაპონიას, ჩინეთსა და ტაივანს შორის. უთანხმობა ბოლო დროს გამწვავდა, როდესაც ტოკიომ აქ განლაგებული შუქურის რეგისტრაცია და ამრიგად თავისი პრეტენზიების ოფიციალურად დადასტურება განიზრახა. იაპონიის ხელისუფალთა გეგმებს მოჰყვა პროტესტის აქციების ტალღა ტაივანსა და ჰონკონგში, აგრეთვე ოფიციალური პროტესტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მხრიდან.

კიოდო ცუსინის სააგენტოს ცნობით, მარშში მშვიდობიანი ხასიათისა იყო და მონაწილეებს მოჰქონდათ ტრანსპარანტები, რომლებიც გმობდნენ იაპონურ მილიტარიზმს. მსვლელობის მონაწილეები მივიდნენ იაპონიის გენერალური საკონსულოს შენობასთან და მის წარმომადგენელს გადასცეს განცხადება, რომელშიც გამოხატულია აღშფოთება იაპონიის ცალმხრივი მოქმედების გამო.

ᲰᲘᲞᲝᲗᲔᲖᲐ ᲗᲣ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ

ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ, ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲮᲔᲝᲤᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲛᲘᲓᲐ?

ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ ტურისტულ „მექაში“, კაიროს სამხრეთ-დასავლეთით ასიათასობით ადამიანი ჩადის. ჩადიან მთელი მსოფლიოდან, რათა ერთხელ მაინც იხილონ შვიდი საოცრებიდან ერთერთი — პირამიდები.

„ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲔᲛᲘᲜᲘᲐ დროისა, დროს კი პირამიდისა ᲔᲛᲘᲜᲘᲐ“, — ღაღადებს არაბული ანდაზა. ხეოფსის პირამიდა უდიდესია. ერთერთი უძველესი ცივილიზაციის ეს ძეგლი აშენდა 2690 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე ფარაონ ხეოფსის, ან ხუფუს, როგორც მას ძველი ეგვიპტელები უწოდებდნენ, ბრძანებით. შენებლობა დაახლოებით ოცდაათ წელს გრძელდებოდა. ცალკეულ თვეებში „საუკუნის შენებლობაზე“, ბერძენი ისტორიკოსის ჰეროდოტეს თქმით, 100 ათასამდე მონა მუშაობდა.

ჩვენს საუკუნეში ხეოფსის პირამიდა არა მარტო ტურისტების თავშეყრის ადგილია, არამედ მეცნიერ-ეგვიპტოლოგთა კვლევის საგანიცაა. სწორედ აქ იშვა მორიგი სენსაცია. ფრანგმა ფარანსუა-ქსავიე ერიმ ისტორიის სამსჯავროზე ახალი ჰიპოთეზა წარმოადგინა. ოცი წლის კვლევის შემდეგ იგი მივიდა დასკვნამდე, რომ ჩაწვდა ეგვიპტური პირამიდის საიდუმლოებას: იგი სულაც არ არის ფარაონის სასუფეველი, როგორც ამტკიცებენ ისტორიკოსები, არამედ სიცოცხლის სადიდებელი რელიგიური ძეგლია.

ერი ვარაუდობს, რომ პირამიდის, როგორც ფარაონის სამარხის აკადემიური ვერსია მცდარია. თავის წიგნში „ქვის ბიბლია — დიდი პირამიდის წმინდა ანბანი“, ეს პროფესიონ კბილის ექიმი და მოწოდებით ეგვიპტოლოგი წერს, რომ ეგვიპტური სამარხები დაფარულია წარწერებითა და ნახატებით, ხეოფსის პირამიდაში კი ამოიჩენილია მხოლოდ ერთი წარწერა — მმართველის სახელი, და დასძენს: პირამიდაში სამი შინაგანი დარბაზის არსებობა სრულიადაც არ მოწმობს მის სევდიან დანიშნულებას.

ახალი საიდუმლოს ამოსაცნობად ერიმ მიმართა XIX საუკუნის ცნობილი ეგვიპტოლოგის ჟან-ფრანსუა შამპოლიონის ნაწერებს, რომელმაც გასაღები მოუძებნა იეროგლიფებს და პირამიდის არქიტექტურას ახლა განიხილავს, როგორც უზარმაზარ დაშიფრულ გზავნილებას.

შესასვლელი, დარბაზებისა და დერეფნების განლაგება — ყოველივე, ამას, ერის აზრით, ზუსტი დანიშნულება უნდა ჰქონდეს. ამ „რებუსის“ უკან, მიაჩნია ფრანგს, დგას ღმერთ ამონის (შედგომში ამონ-რა) — ფარაონების მფარველისა და სიცოცხლის სიმბოლოს ფიგურა. სწორედ ამონი გახდა კვლევის ამოსავალი ობიექტი, რომლის შედეგადაც ერი დაასკვნის, რომ „კარიბჭე“ სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა სტილიზებული იეროგლიფი, რომელიც აღორძინების ნიშნავს.

პირამიდის არქიტექტურაში აღმოჩენილი ყოველი ნიშანი, მკვლევარის აზრით, სიცოცხლისა და შემოქმედების სიმბოლოა და არა ყოფის ამაოება.

ზემოთქმულის შეფასებისას ერი დაასკვნის, რომ ძეგლი ჩაფიქრებული იყო, როგორც გიგანტური განძთსაცავი უძველესი ეგვიპტის ყოვლისშემძლე ღმერთის სადიდებლად, სიცოცხლისა და შემოქმედების ტაძარი, სადაც მხოლოდ რჩეულ უმაღლეს ქურუმებს შეესვლებოდათ.

ახლა სიტყვა ოპონენტებზეა.

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲩᲡᲠ. პრაღის კრემლი, ალბათ, ამ ქალაქის ყველაზე მნიშვნელოვანი ღირსშესანიშნაობაა. მასში ხალხის ისტორიაა ჩაქსოვილი. კრემლის კედლებში მრავალ სამეფო დინასტიას სდებია ბინა და ყველა მათგანი აშენებდა კრემლს, ახალი ელემენტები შეჰქონდა კონსტრუქციაში. ამიტომაც აქ მრავალი არქიტექტურული სტილია თავმოყრილი.

1918 წლიდან პრაღის კრემლი სახელმწიფოს მეთაურის რეზიდენციაა გახდა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ: ახალ ფორმაში გამოწყობილი პრაღის კრემლის დაცვა. ფორმა მოგვაგონებს 1918 წელს პირველი რესპუბლიკის შექმნის ისტორიას. იგი ცნობილი მოდელიერის ტ. პიშტეკის პროექტით არის შეკერილი.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ „ᲑᲔᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“ დამაარსებელს, ქართულ-ფრანგული და ლიტერატურულ-მეცნიერული ურთიერთობის გამოჩენილ მკვლევარს, საქართველოს საისტორიო საზოგადოების საპატიო წევრს ნინო სალიას დაბადების 90 წელი შეუსრულდა. ამ თარიღს ეძღვნება ეს წერილიც.

ᲜᲘᲜᲝ ᲡᲐᲚᲘᲐᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲘᲠᲘ

ᲜᲘᲜᲝ სალია ოთხი ათეული წელია უანგაროდ ემსახურება საზღვარგარეთ ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეს, მან თავის მეუღლესთან, პროფესორ კალისტრატე სალიასთან ერთად 1948 წლის ივლისში დაარსა ჟურნალი „ბედი ქართლისა“, რომელიც გამოდიოდა ქართულ ენაზე 1964 წლამდე (სულ გამოვიდა 40 ნომერი), მაგრამ ამავე დროს 1957 წლიდან ფრანგულ ენაზე გამოდიოდა დიდი ფორმატის ჟურნალი „რევიუ დე კარტველოლოჟი“. ამ ჟურნალში იბეჭდებოდა სტატიები ინგლისურ, გერმანულ და იტალიურ ენებზე.

ხუთი წლისა იყო ნინო, როდესაც მოსკოვში წაიყვანეს, სადაც გაიზარდა და სწავლა-განათლებას ეზიარა. 18 წლის ახალგაზრდა ნინო დაინტერესდა მედიცინით, აქვე დაამთავრა სამედიცინო სასწავლებელი და პირველი მსოფლიო ომის დროს მსახურობდა სანიტარულ მატარებელში მოწყალების დად. ნინო 1919 წელს საცხოვრებლად ვარშავაში გადადის, სადაც ამთავრებს სამედიცინო უმაღლეს სასწავლებელს და რამდენიმე ხანს მუშაობს ექიმად. მაგრამ იგი აქვე დაინტერესდა ისტორიით, ვარშავაში ამთავრებს უმაღლეს სასწავლებელს ისტორიის განხრით და 1922 წელს მიემგზავრება პარიზში, სადაც გაიცნობს კალისტრატე სალიას, ერთმანეთს მეგობრობას შეფიცავენ და დაქორწინდებიან.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნინო სალია წლების განმავლობაში ნაყოფიერად მუშაობდა, ჟურნალის ფურცლებზე სისტემატიურად აქვეყნებდა სტატიებს ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებზე, კერძოდ ძველი ქართული ლიტერატურის შესახებ. მკვლევრის დღემდე გამოქვეყნებული აქვს 40-მდე ნაშრომი, რომელთა უმრავლესობას ქართველი მკითხველი არ იცნობს. ამ ნაშრომებს შორის აღსანიშნავია: „ამირან-პრომეთე“, „მეცნიერული და ლიტერატურული მიმართულება შუა საუკუნეების პოემისა — „ვეფხისტყაოსანი“, „ქეთევან ქართველის მარტვილობა“, „ქართული კულტურის სამსახურში“, „მამა მიქელ თარხნიშვილი“, „ზოგიერთი ახალი სამეცნიერო ლიტერატურა საქართველოში“, „ბოთა რუსთაველის უცნობი სურათი“, „ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები“, „პორტუგალური დოკუმენტები ქეთევან დედოფლის მარტვილობაზე“ და სხვა.

„ამირან-პრომეთე“ დაიბეჭდა ჟურნალის 1964 წლის XVII-XVIII ტომში. ავტორი განიხილავს ქართველ მეცნიერთა ნაშრომებს, ცალკე გამოყოფს პროფესორ მ. ჩიქოვანის გამოკვლევას.

ავტორი მიმოიხილავს ამირანის თქმულებების ვარიანტებს, რომლებიც არსებობს ქართულსა და სხვა ენებზე. ამის შემდეგ გადადის მთავარი გმირის ლიტერატურულ-კრიტიკულ ანალიზზე და ყველგან პროფესორ მ. ჩიქოვანის დებულებებს ეშყარება. იგი წერს: „ამირანი არის პროგრესული ძალების განსახიერება, შეურიგებელი მებრძოლი ტირანიის წინააღმდეგ“.

ავტორი ამირანის თქმულების ფესვებს ძველი ქართული კულტურის ისტორიაში ეძებს. მის კვალს პოულობს ფოლკლორსა და ლიტერატურაში, სახვით ხელოვნებასა და მუსიკაში, ისტორიასა და ტოპონიმიკაში. ავტორის აზრით, ეს ეპოპეა მნიშვნელოვანი ფერმენია მსოფლიო ფოლკლორის თვალსაზრისით. „ამირანის ეპოპეა, — წერს ნინო სალია, — მიეკუთვნება შესანიშნავ მსოფლიო ეპიკურ ქმნილებებს. ამირანის თქმულება ქართველი ხალხის ქმნილებაა“.

6. სალიას ნაშრომიდან ჩანს, რომ ქართული ეპოსის პრობლემებს დიდი ინტერესი გამოუწვევია საფრანგეთის სამეცნიერო წრეებში. ამიტომ „რევიუ დე კარტველოლოჟის“ რედაქციას მიზანშეწონილად მიუჩნევია პროფესორ მ. ჩიქოვანის მთავარი დებულებების ფრანგული თარგმანის გამოქვეყნება. მართლაც, ჟურნალის 23-24 ტომში გამოქვეყნდა 3. ჩიქოვანის „დასკვნები“. ჟურნალში დაიბეჭდა ერთი თავი მ. ჩიქოვანის წიგნიდან.

ნინო სალია თავის გამოკვლევებში ეხება რუსთაველოლოგიის მრავალ საკითხს, მათ შორის რუსთაველის კონცეფციას ფილოსოფიის საკითხებში. ავტორს ამის საილუსტრაციოდ მრავალი საბუთი მოაქვს, იგი მიუთითებს, რომ რუსთაველი „პოეზიაში არ ამეღავნებს თავის მიდრეკილებას რომელიმე ფილოსოფიური მიმდინარეობისადმი, მაგრამ პოეტი წარმოგვიჩენს კავშირს პოეზიასა და სიბრძნეს შორის, ე. ი. ფილოსოფიასთან. „რუსთაველის ფილოსოფიური მოსაზრებანი მეღავნდება თვით პოეტის პოეზიაში. პოეზია რუსთაველთან არის ფილოსოფიის ერთ-ერთი ასპექტი. მართალია, პოეტი ფილოსოფიაში

ᲜᲘᲜᲝ ᲡᲐᲚᲘᲐᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲘᲠᲘ

თავს არ ამეღავნებს, მაგრამ იგი პროლოგში ქმნის ფილოსოფიურ ნაწარმოებს, როდესაც მსჯელობა მიდის პოეზიისა და სიბრძნის ურთიერთობაზე. პოეტი მაგიური ხელით ოსტატურად გადმოისვრის თავის შეხედულებებს ბუნების მოვლენებზე, ადამიანებსა და მათ ბედზე. პოეტი გვაძლევს განსაზღვრებას, პოეზიისა და სიბრძნის ურთიერთკავშირზე. წარმოგვიჩენს პოეზიის ნაირსახეობას. აქ მთავარი ის არის, რომ პოეზია უფრო მეტად ზეცას ეკუთვნის, ვიდრე დედამიწას. ჩვენ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ რუსთაველი არის რენესანსის ეპოქის ადამიანთა გრძნობებისა და ცხებების ინტერპრეტატორი“.

ნინო სალია ეხება რუსთაველის ურთიერთობას აღმოსავლურ რენესანსთან. იგი აღნიშნავს, რომ რუსთაველის ურთიერთობა აღმოსავლურ რენესანსთან ბევრ რამეს გვიხსნის ქართული კულტურის განვითარების თვალსაზრისით, აღმოსავლეთმა მაშინ ბევრ რამეში გაუსწრო ევროპას. ეპოქის შესაბამისად, რუსთაველი აღმოჩნდა ამ ეპოქის დაგვირგვინება და „შეჯამება“, როგორც აღმოსავლური რენესანსისა, ისე ქართულისა. ამის საილუსტრაციოდ პარიზელი მეცნიერი ემყარება ქართველი მეცნიერების: შალვა ნუცუბიძის, კორნელი კეკელიძის, ალექსანდრე ბარამიძისა და ივანე ორბელის დებულებებს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნინო სალიამ ვრცელი სტატია მიუძღვნა თბილისის უნივერსიტეტის დაარსების 50 წლისთავის იუბილეს. ავტორი აღნიშნავს, რომ თბილისის უნივერსიტეტის დაარსებით „აღდგენილი იქნა ქართველი ხალხის მდიდარი კულტურული ტრადიციები, უნივერსიტეტმა დაუყოვნებლივ დაიმსახურა მთელი ქართველი ხალხის სიყვარული, მოიპოვა დიდი პოპულარობა, ქართველი მასში ხედავდა იარაღს, რომელიც გამოაწრთობდა მომავალ ეროვნულ კულტურას“.

ავტორი შემდეგ მსჯელობს ქართველების კონტაქტებზე საზღვარგარეთის ქართული კულტურის კერებთან, განსაკუთრებით რომისა და ბიზანტიის კულტურის ცენტრებთან. XII საუკუნის დასაწყისში საქართველოში დაარსდა ორი აკადემია: გელათისა და იყალთოს აკადემიები, რომელთა სახელი დაკავშირებულია დავით აღმაშენებელთან. შემდეგ ავტორი უცხოელ მკითხველს აცნობს ქართველი მეცნიერების: კორნელი კეკელიძის, ივანე ჯავახიშვილის, შალვა ნუცუბიძის, აკაკი შანიძის, სიმონ ყაუხჩიშვილისა და სხვათა მოღვაწეობასა და დამსახურებას ქართული კულტურის წინაშე.

ნინო და კალისტრატე სალიებმა ჯერ უშიალო კონტაქტები დაამყარეს ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორთან პროფესორ ილია აბულაძესთან, მისი გარდაცვალების შემდეგ კი მისი ტრადიციების გამგრძელებელ ე ლ თ ა ნ პროფესორ ელენე მეტრეველთან, თავის მხრივ ქალბატონი ელენე მეტრეველი რამდენიმეჯერ იყო პარიზში „ბედი ქართლისას“ დამაარსებლებთან, რის შემდეგ ნინო სალიამ ხელნაწერთა ინსტიტუტს საჩუქრად გადასცა 1400-ზე მეტი ძვირფასი წიგნი ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, იტალიურ, ბერძნულ, ესპანურ, ლათინურ და სხვა ენებზე. ერთ-ერთ წერილში ქალბატონი ნინო სალია ელენე მეტრეველს სწერს: „ავადმყოფობისა და მოხუცებულობის გამო ვეღარ ვახერხებ მუშაობას, ამიტომ გადავწყვიტე ჩემი სამეცნიერო ბიბლიოთეკის ერთი ნაწილი (ქართველოლოგიური და ორიენტალისტური ლიტერატურა) გადავცე თქვენდამი არსებულ ინსტიტუტს — ათას წიგნზე მეტი. ამასთანავე გაახლებთ ამ წიგნების პირველ სიას“.

აღნიშნული წიგნები მიიღო ინსტიტუტმა, სადაც გაიხსნა ნინო სალიას ბიბლიოთეკა, მეცნიერი მუშაკები სარგებლობენ ამ ძვირფასი ლიტერატურით.

ანდერძის თანახმად კალისტრატე სალიას ნეშტი დაკრძალული იქნა თბილისში, დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში 1988 წლის 12 თებერვალს. სამგლოვიარო მიტინგზე პროფესორმა ზ. ფელეუყვამ აღნიშნა, რომ ნინო სალიამ თავისი ქონება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას უანდერძა, აგრეთვე გამოთქვა სურვილი მისი ნეშტიც თბილისში ჩამოიტანონ და კალისტრატე სალიას გვერდით დაკრძალონ.

სამშობლოს, კახეთის მონატრებით 1982 წელს ნინო სალიამ დაწერა გამოსათხოვარი წერილი, რომელიც დაიბეჭდა მისი ჟურნალის მე-40 ტომში. აი, რას წერს იგი: „ჩემი სიცოცხლის დასასრულს, დარჩენილი წლები წინ რომ მიდგას, მინდა ჩემს მშობლიურ ქვეყანას, ჩემს კახეთს გამოვეთხოვო. ეს იმისათვის, რომ დღემდე ბედნიერება არ მერგო რომ ჩემი სამშობლო მენახა, რომლის სიყვარულსა და პატივისცემას ყოველთვის ვინაზავ გულში.

მე მინდა პოეტ იოსებ ნონეშვილს დავესესხო სტრიქონები ლექსიდან „კახეთი“, რომელიც შესანიშნავად გამოხატავს ჩემს აზრებს იმ ქვეყნის შესახებ, რომელზეც ეს ლექსია მიძღვნილი: „ცივ-გომბორიდან სიმღერით, სიცოცხლის გადასახედი, მოსჩანს იისფერ ნისლებში, კახეთი, ჩემი კახეთი“.

აქვე უნდა შევნიშნო, რომ ამ სტრიქონების ავტორმა 1968 წლიდან დაამყარა კავშირი „ბედი ქართლისას“ რედაქციასთან, ვუხმარებოდი რითაც შემეძლო, ვუგზავნიდი წლების განმავლობაში ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, აგრეთვე ქართველ მეცნიერთა ნაშრომებს ქართული ლიტერატურის საკითხებზე. რა თქმა უნდა, შევისწავლეთ ამ ორი პატრიოტი მეცნიერის შრომები და დავწერეთ წიგნი, რომელსაც გამოსცემს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა - 1990 წელს. ქალბატონმა ნინომ თავის მეუღლესთან ერთად დიდი საქმე გააკეთა ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში, მათ თავიანთი საქმიანობით წარმატებით გაგრძელეს საფრანგეთში ქართველოლოგიის მამამთავრის აკადემიკოს მარი ბროსეს ტრადიციები.

ვუსურვებთ ქალბატონ ნინოს ხანგრძლივ სიცოცხლეს და წარმატებებს. მადლიერი ქართველი ხალხი მაღალ შეფასებას აძლევს მის ღვაწლს.

ᲡᲔᲠᲒᲝ ᲗᲣᲠᲜᲐᲕᲐ.

ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲡ ᲘᲔᲠᲘᲨᲘ ᲛᲘᲐᲥᲕᲗ ᲕᲘᲖᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲖᲔ

ᲐᲚᲑᲐᲗ, რესპუბლიკის დაწესებულებებსა და უწყებებს შორის ყველაზე დიდი „პოპულარობის რეიტინგი“ დღეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ვიზებისა და საპასპორტო მუშაობის განყოფილებას აქვს. ძნელი წარმოსადგენიც კი, თუ რამდენს სურს გახდეს საზღვარგარეთის პასპორტის მფლობელი, ამიტომ სიახლე, რომელსაც ელიან ამ ორგანიზაციასთან დაკავშირებული ადამიანები, არავის დატოვებს კუდგრილს. ჯერ ერთი, კვლავ დროებით შეწყდა პასპორტების გაფორმება ბლანკების ნაკლებობის გამო, მეორე, გადაწყდა უკვე უახლოეს დღეებში დოკუმენტების გაფორმების უფლებამოსილებანი გადაეცეთ ვიზებისა და საპასპორტო მუშაობის განყოფილების რაიონულ სამსახურებს. მართალია, უნდა მოწესრიგდეს ტექნიკური პირობები, გამოიყოს შესაბამისი შენობები, დამატებით შეირჩეს კადრები რაიონების მიხედვით, რადგან ზედაზორა ვიწრო, მოუმარჯვებელ შენობაში დიდ სიძნელეებს უქმნის ხალხს, რომელსაც ამის გამო ძილი და დასვენება აღარა აქვთ, ეს ამტანობის გამოცდაა.

რაიონული ჯგუფების შექმნა ერთგვაროვან სულს მოთმქმევნებს როგორც საზღვარგარეთ გამგზავრების მსურველებს, ისე ვიზებისა და საპასპორტო განყოფილების თანამშრომლებს. თავად განსჯეთ, თუ 1985 წელს საზღვარგარეთ გავიდა 5 ათასი კაცი, მიმდინარე წლის ცხრა თვის განმავლობაში უკვე 130 ათასი კაცი გაემგზავრა, ამათგან 60000 თურქეთის რესპუბლიკაში და კიდევ ამდენივე კაცს უკვე მომზადებული აქვს საბუთები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, განყოფილებს დატვირთვა თითქმის ორმოცჯერ გაიზარდა, თანამშრომელთა შტატი კი ისეთივეა, როგორიც ხუთი წლის წინათ იყო — 14 კაცი.

რთული მათემატიკური გაანგარიშების გარეშეც ადვილი წარმოსადგენია ზედაზორა, რომელსაც ყოველდღე იხილავთ ქალაქის ცენტრალურ მოედანზე მდებარე ძველი შენობის კიბეებზე და დერეფნებში. აქ რესპუბლიკის ყველა კუთხიდან (აჭარისა და აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკების გარდა, რომლებიც დამოუკიდებლად წარმართავენ საქმეს) ჩამოდიან საზღვარგარეთ წასვლის მსურველები.

— ვიზებისა და საპასპორტო მუშაობის განყოფილების რაიონული განყოფილებების შექმნა,— თქვა განყოფილების უფროსმა თ. სანაძემ, — გამოსავალია მდგომარეობიდან. თუმცა, ეს ჯერჯერობით ვრცელდება მხოლოდ თბილისის ექვს რაიონზე, მაგრამ მალე ყველა რაიონი მოემსახურება თავის მოსახლეობას. გარდა ამისა, დიდუბეში მთავრდება ჩვენთვის გათვალისწინებული შენობის რესტავრაცია, გროვდება კადრები. დიახ, სამსახურს, რომელიც საზოგადოებრივი მიზიდვის ცენტრში აღმოჩნდა, უძნელდება მუშაობა, თითქოს კი ასე არ უნდა ხდებოდეს, — მარტო წელს ხომ სახელმწიფო ბიუჯეტს 26 მილიონი მანეთი შევმატეთ. და მაინც, სახელმწიფო ხაზინისათვის ჩვენ „კონკიად“ ვრჩებით, შტატების გაზრდის შესაძლებლობაც კი არა გვაქვს და ეს მაშინ, როცა ყოველდღე დაახლოებით ათას მოქალაქეს იერიში მიაქვს ჩვენ თანამშრომელთა კაბინეტებზე. 1989 წლის იანვარში დადებული ვენის ხელშეკრულების თანახმად, რომლის მეოხებით უნდა გაადვილდეს საბჭოთა კავშირში შემოსვლა და გასვლა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დაგვპირდა შევსებას, მაგრამ ეს ჯერ არ გაკეთებულა. მოქალაქეთა მდგომარეობა უნდა შემსუბუქოს ქალაქის ზოგიერთ რაიონში სახელშეკრულები საწყისებზე შექმნილმა მოსახლეობის მომსახურების სპეციალურმა ბიუროებმა. ისინი ხელს უწყობენ ზოგიერთი დოკუმენტის მომზადებას. ნავარაუდევია ასეთი ობიექტის ქსელის გაფართოება, მაგრამ საზღვარგარეთ წამსვლელთა რიცხვი იზრდება.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. შადურმა გაიზიარა ვიზებისა და საპასპორტო მუშაობის განყოფილების უფროსის აზრი:

— დიახ, მზად არა ვართ ასეთი მასშტაბით ტურიზმისათვის. აურზაურში ჩნდება კანონისათვის გვერდის ასახვევი ხვრელები. სცოდავს ჩვენი ზოგიერთი თანამშრომელიც. მაგრამ უკვე შემუშავებულია საქმის მოსაგვარებელი ღონისძიებანი. ჩვენს წინადადებებს წარუდგენთ საქართველოს მინისტრთა საბჭოს.

ᲠᲘᲪᲐ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ.
ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ.

„ᲜᲝᲔᲡ ᲙᲘᲓᲝᲑᲐᲜᲘ“ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ



ᲜᲝᲠᲩ ᲛᲐᲣᲠᲘᲡᲗᲐᲡ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲮᲜᲘᲡᲗᲐᲜᲐᲠᲘᲗ ᲓᲐᲓᲒᲐ ᲗᲘᲗᲘᲡ ᲗᲘᲗᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲛᲐ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲛᲐ „ᲜᲝᲔᲡ ᲙᲘᲓᲝᲑᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“, რომელიც ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲘᲠᲪᲮᲣᲚᲐᲕᲐ ᲓᲐᲓᲒᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲘᲠᲪᲮᲣᲚᲐᲕᲐ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ᲡᲪᲔᲜᲐ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲘᲓᲐᲜ; ᲜᲝᲔ — ᲛᲮᲐᲮᲘᲝᲑᲘ Ბ. ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲤᲐᲜᲯᲐᲠᲔᲑᲘ ᲞᲔᲢᲠᲝᲡᲘᲐᲜᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲤᲐᲓᲠᲐᲙᲨᲘ

3,5 : 3,5

ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲓᲐ რა, რომ მეშვიდე გადადებული პარტიის ხსნა არ შეიძლებოდა, კასპაროვმა თამაშის განუახლებლად დათმო იგი და ანგარიშიც გათანაბრდა — 3,5:3,5.

მიმომხილველთა აზრით, გამართული 7 პარტიიდან პირველი ოთხი მიეკუთვნება ყველაზე საუკეთესოს, რომლებიც კი ოდესმე გათამაშებულა მსოფლიო პირველობის მატჩებში. კასპაროვს მეექვსე და მეშვიდე შეხვედრებში მძიმე შეცდომები მოუვიდა. მეექვსე პარტიაში მას ეს შეცდომა ზეხევარ ქულად დაუჯდა — ხელიდან გაუშვა მოგება, მეშვიდეში კი, როგორც დიდოსტატებმა სალოვმა და სეირავანმა აღნიშნეს, უბრალოდ, სუსტად თამაშობდა. ასეთი პარტიები, ცხადია, მეტად იშვიათია მსოფლიო ჩემპიონის პრაქტიკაში.

ყოველივე ამის მიუხედავად, როგორც მსოფლიო ექს-ჩემპიონი მიხეილ ტალი თვლის, მატჩში ჯერჯერობით „ბრძანებებს“ მაინც კასპაროვი და მისი ბანაკი აძლევა.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ
ᲜᲝᲓᲐᲠ ᲯᲐᲕᲔᲚᲘᲫᲔ.

ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲝᲜᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ „ᲐᲕᲢᲝᲠᲘ“

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა ნებაყოფლობითი საზოგადოება „ავტორი“ დაფუძნა კონფერენციამ, რომელიც გაიმართა ხელოვნების მუშაკთა სახლში.

კონფერენციამ საზოგადოების პრეზიდენტად აირჩია საქართველოს სსრ საავტორო უფლებების რესპუბლიკური საგენტოს უფროსი ნოდარ გურეშიძე, რომელიც საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებზე ესაუბრა საინფორმაციო საგენტო საქართველოს კორესპონდენტს:

**— ნებაყოფლობითი საზოგადოება „ავტორის“ საქმიანობის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს საავტორო საკითხებზე ევნეკის კონვენციის განხორციელებას. მან უნდა დაიცვას მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა საავტორო, სამართლებრივ-კეთილდღეობითი უფლებები, ხელი შეუწყოს საქართველოს საავტორო უფლებათა რესპუბლიკურ საგენტოს იმ საკითხთა გადაწყვეტაში, რომლებიც საგენტოს კომპეტენციაში არ შედის. იმ პუნქტების შორის, რომლებიც ახლად შექმნილი ორგანიზაციის წესდება ითვალისწინებს, არის არაერთი მნიშვნელოვანი დებულება, რომელთა განხორციელება დაეხმარება საზოგადოებას საავტორო მონორარის სახით გ